სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 2 ივლისი 2008 №150 (3374) ფასი 50 თეთრი

ჩვენი უწინწილო შემოდგომის დარდი: დაგვათვლევინეთ!

გუშინ ნიონში წილი იყარა

დინამო ორ ზღვას შუა: რომელი ცივი და რომელი თბილი?

უეჭველად მოსაგები თამაში ნორვეგიის ზღვაში ჩაკარგულ ფარერებზე და უმძიმესი ბრძოლა ეგეოსის ზღვისპირა ათენში. გუშინ შვეიცარიულ ნიონში ჩატარებულ ჩემპიონთა ლიგის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრაზე საქართველოს ჩემპიონ „დინამოს“ ფარერული „NSI რუნავიკი“ და ბერძნული „პანათინაიკოსი“ ერგო.

ფარერელებთან პირველი თამაში თბილისშია და იმედია, დინამოელები აქვე მოითავებენ საქმეს. ასევე იმედია, საპასუხო შეხვედრაში თბილისელები ფრეს ან სულაც მცირე ანგარიშით წაგებას არ დაყაბულდებიან. ამას კი იმიტომ ვამბობთ, რომ ამის მაგალითები ქართულ ფეხბურთში საკმაოდ გვაქვს.

მერე კი „პანათინაიკოსია“ და ვერ ვიტყვით, დინამოელებს წილისყრისას არ გაუმართლათ, ძლიერი გუნდი შეხვდათო. მეორე საკვალიფიკაციოზე ხომ იოლ მეტოქეს სანთლით უნდა ძებნა.

თეთრი ანგელოზები ვიტ ჯორჯიასთვის

„თეთრი ანგელოზები“, ასე ეძახიან სამშობლოში „ვიტ ჯორჯიას“ მეტოქე „სპარტაკს“. ანგელოზობისა რა მოგახსენოთ, ისე კი, ამ 39 წლის წინ სლოვაკურ კლუბს ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში უთამაშია და იქ „აიაქსთან“ დამარცხებულა.

ეს ამბავი იმდროინდელია, ევროპის პოლიტიკურ რუკაზე ჩეხოსლოვაკიად წოდებული სახელმწიფო რომ არსებობდა და ტრნაველთა მთელი მონაგარიც იმ ძველ ეპოქაზე მოდის.

ცალკე სახელმწიფოდ არსებობის პერიოდში კი „სპარტაკი“ ვერაფრით დაიკვეხნის და ახლაც უეფას თასზე ქვეყნის თასის დამარცხებული ფინალისტის სტატუსით თამაშობს. საქმე ის არის, რომ თასის ფინალში ჩემპიონი „არტმედია“ და „სპარტაკი“ შეხვდნენ და თასი „არტმედიამ“ მოიგო, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და არა უეფას თასზე. სხვათა შორის, თუ გახსოვთ, ეს ის „არტმედიაა“, ორი წლის წინ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან სწორედ „ვიტ ჯორჯია“ რომ გააგდო.

ზესტაფონის ისტორია ისტორიით იწყება

„ზესტაფონმა“ შარშან პირველად ითამაშა ოფიციალური საერთაშორისო მატჩი, მაგრამ ის ინტერტოტო იყო, გვარიანად არაპოპულარული ევროგათამაშება და ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაღდ ევროსარბიელზე ზესტაფონელები ახლაღა დგამენ პირველ ნაბიჯს.

„ზესტაფონის“ მეტოქე კი გახლავთ უნგრული „დიორი“, გუნდი, რომელსაც ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გაუღწევია. ამ ფაქტმა, ერთი შეხედვით, უნდა გვაფიქრებინოს, რომ იმერულ კლუბს მრისხანე და ძლევამოსილ მეტოქესთან ექნება საქმე, მაგრამ ნახსენები ნახევარფინალი 43 წლის წინანდელია და ამ 43 წელიწადში კი ბევრმა წყალმა ჩაიარა და „დიორის“ ძლევამოსილებაც ისევე ჩაბარდა ისტორიას, როგორც უნგრეთის ნაკრების „დიდი გუნდობა“. ოღონდ, ისეც არავინ ჩათვალოს, უნგრეთის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი ხელწამოსაკრავი მეტოქეაო. არა, ბატონებო.

ჩემპიონთა ლიგა 2008–2009

პირველი საკვალიფიკაციო მტაპი. დინამოს მეტოქე

მეკარეები

1. იენს მარტინ კნუდსენი	11.06.1967
20. ტორდურ ტომსენი	11.06.1986

მცველები

8. იოჰან დავიდსენი	31.01.1988
დანიალ ჰანსენი	28.11.1976
12. ეინარ ჰანსენი	02.04.1988
3. ოლი ჰანსენი	26.11.1977
18. სიურდურ იაკობსენი	29.08.1976
ვიგო იოჰანესენი	05.06.1979
პოლ იუსტინუსენი	13.01.1989

ნახევარმცველები

15. ტორდურ დიურჰუუსი	
10. ჰიალგრიმ ელტორი	03.03.1983
5. კარი ჰანსენი	12.04.1976
14. ბოგი ლოკინი	22.10.1988
აჩო პანდურევიჩი	05.08.1981
მილან პეიჩიჩი	20.10.1973
7. ნენად სტანკოვიჩი	08.08.1977

თავდამსხმელები

17. იონჰარდ ფრედერიკსბერგი	27.08.1980
11. ენდი ოლსენი	03.12.1984
დეიან სტოიკოვიჩი	11.07.1977
იოლი დალბუ	

დინამოს ანკეტს მეთევზე ამოჰყვა

NSI რუნავიკი

რუნავიკი, ფარერები

დაარსდა 1957 წლის 24 მარტს
კლუბის პრეზიდენტი: დანიალ პეტურ ჰანსენი
მთავარი მწვრთნელი: იოჰან ნილსენი
სტადიონი: „რუნავიკ სტადიუმი" (ტევადობა 4 000)
ფარერების ჩემპიონი (1): 2007
ფარერების თასის მფლობელი (2): 1986, 2002
ფარერების სუპერთასის მფლობელი (1): 2007
უეფას თასზე: 4 მატჩი, 0 მოგება, 0 ფრე, 4 წაგება, ბურთები 1:15
ინტერტოტოს თასზე: 2 მატჩი, 0 მოგება, 0 ფრე, 2 წაგება, ბურთები 1:7

იცნობდეთ: საქართველოს ჩემპიონის, თბილისის „დინამოს" მეტოქე ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე — აფრერული „NSI რუნავიკი"...

იცნობდეთ კი დავწერეთ, თუმცა ბევრსაც ვერაფერს გეტყვით და რასაც გეტყვით, ვეჭვობთ, სრულად დავაკმაყოფილებთ თქვენს ინტერესს, თუ, ცხადია, საამისო სურვილი გაქვთ.

თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ ამ ფარერული კლუბის სახელწოდებას ლათინური აბრევიატურა მოვაშოროთ და შემდგომში მხოლოდ „რუნავიკად" მოვიხსენიოთ.

„რუნავიკის" წარსულსა და წარმატებებს სულ ორი აბზაცი დაიტევს. კლუბი, რომლის თავმჯდომარეც დღეს დანიალ პეტურ ჰანსენი გახლავთ, 1957 წელს დაარსდა და, როგორც ყველა ფარერული გუნდი, მოყვარული ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. „რუნავიკში" თამაშობს ოთხი სერბი, თუმცა, ვეჭვობთ, ისინი ფარერებზე მხოლოდ ფეხბურთის სათამაშოდ ჩასულიყვნენ.

სერბები 32-35 წლისანი არიან და კუნძულზე მუშაობისგან თავისუფალ დროს „რუნავიკში" თამაშით იქცევენ თავს. „რუნავიკში" ერთი ვინმე ბრაზილიელიც ყოფილა, მაგრამ წინა სეზონის შემდეგ გუნდს დაშორებია.

არსებობის 50 წლის განმავლობაში „რუნავიკს" ევროსარბიელზე სულ ექვსი მატჩი აქვს ჩატარებული. „დინამოს" მეტოქეს 4-ჯერ უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე უთამაშია, 2-ჯერ — ინტერტოტოზე. შედეგები? „რუნავიკმა" ექვსივე მატჩი წააგო, გაიტანა 2 გოლი და მიიღო 22. წინა სეზონი კი „რუნავიკისთვის" ისტორიული მნიშვნელობისა იქნებოდა — მწვრთნელმა იოჰან ნილსენმა გუნდს პირველად მოუტანა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და აგერ ახლა შეგირდებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე დებიუტისთვის ამზადებს. ჩემპიონობის გარდა „რუნავიკს" ფარერებზე ქვეყნის თასის მფლობელობითაც შეუძლია იამაყოს. ამ წარმატებას „დინამოს" მეტოქემ 2002 წელს მიაღწია. „რუნავიკის" ტიტულებს შორის არის ერთი სუპერთასიც, რომელიც გუნდმა შარშან მოიპოვა.

პრეზიდენტ ჰანსენის გარდა, „რუნავიკში" კიდევ ოთხი ჰანსენია, მათგან საუკეთესო კი კაპიტანი ოლი ჰანსენი. ის ცენტრალური მცველის პოზიციაზე თამაშობს, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, მიმდინარე ჩემპიონატის 13 შეხვედრაში 4 გოლი გაეტანა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ აქედან სამი გოლი ოლი ჰანსენმა პენალტით გაიტანა. ამჟამად ოთხი გოლი აქვს გატანილი იოლი დალბუსაც. სულ კი „რუნავიკს", რომელიც ქვეყნის ჩემპიონატში სადღეისოდ 24 ქულით მეორე ადგილზეა, 21 გოლი აქვს გატანილი.

რომელი ფეხბურთელი ითვლება „დინამოს" მეტოქის ლიდერად, ვის უნდა მიაქციონ თბილისელებმა განსაკუთრებული ყურადღება, ვერ გეტყვით. თუმცა, როგორც „დინამოს" მწვრთნელი ამბობს, ყველა მეტოქე სახიფათოა და ყველასთან მთელი მონდომებით თამაშია საჭირო.

ფარერულ კლუბს ჩვენები აქამდე სამჯერ გადაჰყრიან. „ბათუმმა" „ჰაფნარს" ორჯერ — 6:0 და 3:0 მოუგო; „ტორპედომ" „B36" — 5:2, 1:0 დაამარცხა, ხოლო „ვიტ ჯორჯიამ" თბილისში მოგებულ 5:0-ის შემდეგ, სტუმრად „ტორსჰავნთან" სამარცხვინოდ, 0:3 წააგო

„დინამო" — „რუნავიკს" შორის ფავორიტზე კი, ვფიქრობთ, ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვენებმა თუ ამათაც ვერ მოუგეს, საშველი აღარ ყოფილა და ეგაა...

ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამო" — „რუნავიკის" გამარჯვებული ათენის „პანათინაიკოსს" შეხვდება. თუმცა, იმედი გვაქვს და, ზედმეტობაში ალბათ არ ჩაგვითვლით, თუ „პანათინაიკოსის" მეტოქედ დღესვე „დინამოს" ვიტყვით. „შავ-ყვითელ" ფარერელებთან „დინამოს" მოგება არ უნდა გაუჭირდეს.

ძოგა ინასარიძე

იოჰან ნილსენი

ფორმულა 2008 (მიმდინარე)

სტრეიმური	13	10	2	1	29:13	32
რუნავიკი	13	7	3	3	21:14	24
ტორსჰავნი	12	6	4	2	24:10	22
B36	13	5	6	2	16:9	21
ვიკინგური	13	5	3	5	20:15	18
კლაქსვიკი	13	3	5	5	16:22	14
ტოფტირი	13	4	2	7	9:19	14
ფიორდური	12	3	2	7	15:25	11
სკალა	13	2	5	6	10:20	11
სანდური	13	2	2	9	13:26	8

ამხანაგური მატჩები

ლიტექსი 5:1 პელისტერი
ბოლესლავი 4:1 მოსტი
ცსკა (მ) 1:2 მოსკვა
კოშიცე 1:0 ტიმიშოარა
ბრონდბიუ 3:1 ჰვიდოვრე
ვიბორგი 1:3 მიდტიულანდი
ალტახი 2:0 პანიონიოსი

ნორვეგია

თასის 1/16 ფინალი
ბრანი 3:1 ვალდერსი
რანჰეიმი 0:3 ტრომსიო

შვედეთი

ალსვენსკა. XII ტური
გიოტებორგი 0:2 ტრელებორგი
სუპერეტა. XIII ტური
სირიუსი 1:2 ბანკეფლო
ბრომაპოიკარნა 0:1 ატვიდაბერგი
ჰეკენი 0:1 ფალკენბერგი



უეფას თასი 2008–2009

პირველი საკვალიფიკაციო მტაპი. ვიტ ჯორჯიას მმტკიცება

სპარტაკი

ტრნავა, სლოვაკეთი

დაარსდა 1923 წლის 30 მაისს
კლუბის პრეზიდენტი: ლადისლავ კუნა
მთავარი მწვრთნელი: ვლადიმირ ვერმეზოვიჩი
სტადიონი: „ანტონ მალატინსკი" (ტევადობა 18 448)
ჩეხოსლოვაკეთის ჩემპიონი (5): 1968, 69, 71, 72, 73
ჩეხოსლოვაკეთის თასის მფლობელი (5): 1951, 67, 71, 72, 73
სლოვაკეთის თასის მფლობელი (5): 1971, 75, 86, 91, 98
სლოვაკეთის სუპერთასის მფლობელი (1): 1998
ჩემპიონთა თასზე: 24 მატჩი, 13 მოგება, 7 ფრე, 4 წაგება, ბურთები 44:20
თასების მფლობელთა თასზე: 12 მატჩი, 4 მოგება, 2 ფრე, 6 წაგება, ბურთები 10:17
უეფას თასზე: 10 მატჩი, 4 მატჩი, 1 ფრე, 5 წაგება, ბურთები 12:14
ინტერტოტოს თასზე: 12 მატჩი, 5 მოგება, 3 ფრე, 4 წაგება, ბურთები 22:17

მართლა ანგელოზები თუ 70-იანების დასაწყისი?

„ბელი ანგელი", ანუ „თეთრი ანგელოზები" — ასეთი თიკუნი აქვს „ვიტ ჯორჯიას" მეტოქე ტრნავას „სპარტაკს".

აბა, ერთი გეკითხათ, როგორი ანგელოზი იყო ეს გუნდი 1968-1973 წლებში, როცა ხუთ წელიწადში ოთხჯერ გახდა ჩეხოსლოვაკეთის ჩემპიონი, 1969-ში ჩემპიონთა თასის ნახევარფინალამდე გააღწია და იქ ამსტერდამის „აიაქსთან" წააგო. კიდევ ორჯერ კი ტრნაველები ლიგის მეოთხედფინალში იყვნენ.

ეს ისტორიაა და მოდით, ისიც ვთქვათ, რომ „სპარტაკში" თამაშობდნენ „ოქროს ნაკრების" ფეხბურთელები — იოჟეფ ადამეცი და კაროლ დობიაში, რომლებმაც 1976 წლის ევროპის ჩემპიონატზე გაიბრწყინეს.

„თეთრ ანგელოზებს" ევროტურნირებზე 118 მატჩი ჩაუტარებიათ, საიდანაც 56 მოუგიათ, 28 ფრედ დაუსრულებიათ და 34 წაუგიათ, მაგრამ ხომ გეუბნებით, ეს მონაგარი ადრეულ წლებზე მოდის, ჩეხეთ-სლოვაკეთის დაყოფის შემდეგ კი „სპარტაკი" ქვეყნის ჩემპიონი ერთხელაც არ გამხდარა, ევროტურნირებსაც ქართული კლუბებივით თათარიახნად ზაფხულშივე მოათავებდა ხოლმე.

შარშან „თეთრი ანგელოზები" ევროსარბიელზე არ ყოფილან, შარშინ კი აზერბაიჯანულ „კარვანთან" უეფას თასზე ორჯერ წაგება (0:1, 0:1) მოახერხეს.

გასული სეზონი ტრნაველებმა მეოთხე ადგილზე დაასრულეს (33 მატჩში 15 მოგება, 7 ფრე და 11 წაგება) და 52 აღებული ქულიდან 34 შინ მოიხვეჭეს. მეოთხეობა „სპარტაკს" უეფას თასზე ვერ გაიყვანდა, მაგრამ მათ თასის ფინალი ითამაშეს ჩემპიონ „არტმედიასთან" (0:1) და ფინალისტობით გავიდნენ იქ, სადაც „ვიტ ჯორჯია" ელით.

„თეთრ ანგელოზებს" სლოვაკეთში ყველაზე ემოციური და ხმაურიანი გულშემატკივრები ჰყავთ, ისინი თითქმის ყოველთვის ბოლომდე ავსებენ ტრიბუნებს — საკითხავია, ვიტელებს რამდენჯერ უთამაშიათ ამგვარ ატმოსფეროში?

ვლადიმირ ვერმეზოვიჩი — 45 წლის სერბი სპეციალისტი წლეულს ჩაუდგა სათავეში „სპარტაკს". მას თავის დროზე იუგოსლავიის ნაკრებშიც უთამაშია, „პარტიზანის" ფეხბურთელები გახლდათ და მწვრთნელადაც აქამდე მხოლოდ ამ კლუბში უმუშავია: 2004-2005 წლებში.

და ვერმეზოვიჩის იმედები? „თეთრი ანგელოზები" 4-2-3-ს სისტემით თამაშობენ, რომელშიც ეული ფორვარდი ვლადიმირ კოჟუხია, თუმცა ტრნაველთა საუკეთესო ფეხბურთელად 27 წლის ცენტრალური მცველი პეტერ დოლეჟაი ითვლება — ის გუნდის კაპიტანიცაა და ხანდახან სლოვაკეთის ნაკრებშიც იძახებენ. თუმც დოლეჟაის ამჟამად ტრავმა აწუხებს, თან გუნდის შეცვლა სურს.

მეტი ნაკრებელი „სპარტაკს" არ ჰყავს.

ასევე გამორჩეულები არიან ჩეხი მარცხენა ნახევარმცველი მარტინ ჰრუშკა და კიდევ ერთი ცენტრალური მცველი ბაბაქარ ნიანგი. ეს კაცი სენეგალელია და შარშან კიდევ სამი თვისტომი ახლდა გუნდში, თუმც მათ ბოლო ამხანაგურ მატჩში არ უთამაშიათ და არც ვარჯიშობენ „სპარტაკთან" ერთად.

ეს ტესტ-მატჩი კი ტრნაველებმა სლოვაკეთის ქვედალიგელ „მორავანისთან" ითამაშეს და 3:0 მოიგეს.

აქვე, შემადგენლობასაც გაეცანით:

I ტაიმი: რუბანსკი — ჭლავატოვიჩი, დოლეჟაი (იაკუბიჩკა 3), ნიანგი, ლ. ჰანცელი — დურიში, კოპუნეკი — გულდანი, პროჰაზკა, ჰრუშკა — კოჟუხი.

II ტაიმი: ჰრდინა — ჭლავატოვიჩი, იაკუბიჩკა, ტ. ჰანცელი, ტომჩაკი — კოპაჩკა, ჟედუნოვი — ბერნატი, პროჰაზკა, პერესი — ფილიპოვიჩი.

ამ შეხვედრაში გოლები ჰრუშკამ, კოჟუხმა და ესპანელმა პერესმა გაიტანეს.

ილია ნანოგაშვილი

მეკარეები

22. ლადისლავ რუბანსკი	19.12.1984
30. მიროსლავ ჰრდინა	23.09.1976

მცველები

2. ივან ჩიფერსკი	03.01.1989
3. პეტერ დოლეჟაი	05.04.1981
4. ტომაშ ჰანცელი	19.02.1989
7. ვლადიმირ პონჩაკი	19.06.1982
12. პეტერ იაკუბიჩკა	08.09.1985
18. მარტინ ზაჰარიასი	01.10.1983
23. ლუკაშ ჭლავატოვიჩი	22.04.1987
26. ბაბაქარ ნიანგი	22.01.1982
33. მარტინ ჟელეზნიკი	09.11.1989
34. ლუბოშ ჰანცელი	07.05.1987

ნახევარმცველები

6. რომან პროჰაზკა	14.03.1989
8. პეტერ დურიში	10.04.1981
14. კამილ კოპუნეკი	18.05.1984
17. მარტინ ჰრუშკა	11.05.1981
19. ბორივოიე ფილიპოვიჩი	28.08.1982
20. პავოლ კოპაჩკა	07.08.1974
24. მარტინ გულდანი	03.09.1990
25. კარლოს პერეს გარსია	14.01.1984
27. ჩეილე ამდი გუიე	22.08.1980
29. სულეიმან სისე	03.03.1985
31. მარეკ ბოჰაჩეკი	17.02.1990

თავდამსხმელები

9. ვლადიმირ კოჟუხი	15.10.1975
11. მარიან ტომჩაკი	13.07.1980
15. ლუბომირ ბერნატი	09.03.1985
28. სამბა ელ ჰაჯი კებე	

ვლადიმირ ვერმეზოვიჩი

სუპერლიგა 2007-08

არტმედია	33	27	3	3	77:30	84
ჟილინა	33	22	7	4	75:30	73
ნიტრა	33	17	6	10	40:26	57
სპარტაკი	33	15	7	11	52:40	52
სლოვანი	33	15	6	12	46:37	51
კოშიცე	33	13	6	14	45:44	45
რუჟომბეროკი	33	10	14	9	46:43	44
ბისტრიცა	33	10	9	14	41:37	39
დუბნიცა	33	7	12	14	34:53	33
სენეცი	33	6	10	17	30:51	28
ზ. მორავცე	33	6	7	20	22:66	25
ტრენჩინი	33	3	7	23	26:77	16

უეფას თასი 2008-2009

პირველი საკვალიფიკაციო მტაპი. ზესტაფონის მმტრეკ

მეკარეები	
1. საშა სტევანოვიჩი	04.08.1974
31. პეტერ მოლნარი	14.12.1983
55. ზოლტან ვარგა	19.08.1977
მცველები	
3. ზოლტან კოვაჩი	16.12.1986
6. რობერტ ვარგა	25.11.1986
13. დავიდ პაკოლიში	13.09.1984
25. ბალაშ ნიკოლოვი	11.07.1977
27. ზორან სუპიჩი	21.07.1984
28. ჟოლტ კისი	21.08.1986
ნახევარმცველები	
5. იშტვან ბანკი	04.04.1984
7. ანტალ იაკლი	18.11.1971
8. დიორდ ჟოში	31.01.1983
14. დანიელ ვოლგი	07.06.1987
18. ზოლტან ბოორი	14.08.1978
21. ადამ დუდაში	12.02.1989
29. ტამაშ კოლტაი	30.04.1987
32. პეტერ შტარკი	17.08.1978
33. არსენ კოპა	07.06.1988
თავდამსხმელები	
11. ბოიან ბრნოვიჩი	10.02.1979
19. პეტერ ბაიზატი	22.06.1981
23. ტიბორ ტოკოდი	01.09.1980
30. იმრე ჩერმელი	29.08.1988

მადიარ ვილჰელმ პიკ ვაგონ-ეს გეპდიარ ეტო დიორი

დიორ ეტო

დიორი, უნგრეთი

დაარსდა 1904 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ტიბორ კლემენტი
მთავარი მწვრთნელი: შანდორ ედერვარი
სტადიონი: „ეტო" (ტევადობა 20 000)
უნგრეთის ჩემპიონი (3): 1963, 82, 83
უნგრეთის თასის მფლობელი (4): 1965, 66, 67, 79
ჩემპიონთა თასზე: 14 მატჩი, 7 მოგება, 1 ფრე, 6 წაგება, ბურთები 27:30
თასების მფლობელთა თასზე: 12 მატჩი, 6 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება, ბურთები 23:14
უეფას თასზე: 12 მატჩი, 4 მატჩი, 2 ფრე, 6 წაგება, ბურთები 17:25
ინტერტოტოს თასზე: 4 მატჩი, 1 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება, ბურთები 5:5

შანდორ ედერვარი

ბოიან ბრნოვიჩი

„დიორ ეტო" — გუნდი პუშკაშის, ალბერტის, დეტარის, ნილაშის, კოჩიშის, გროჩიშის, ჰიდეგკუტისა თუ ბენეს ქვეყნიდან.

იყო დრო, როდესაც უნგრეთის „დიდი გუნდი" ქუხდა მსოფლიოში; იყო დრო, როდესაც „დიორიც" ამბობდა თავის სიტყვას, მაშინ ეს გუნდი „რაბა ეტო"-თი იყო ცნობილი.

უნგრეთის სამგზის (1963, 82, 83) ჩემპიონი, ორჯერ მეორეადგილოსანი (1984, 85), ოთხგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1967, 74, 86, 2008) და ოთხგზის თასის მფლობელი (1965, 66, 67, 79) — ეს გუნდია „ზესტაფონის" მეტოქე უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე.

დიორი საშუალო სიდიდის ქალაქია უნგრეთის ჩრდილო-დასავლეთით. გუნდი ქალაქის სახელწოდებისაა და 1904 წელს შეიქმნა. მას შემდეგ კლუბმა 11-ჯერ გამოიცვალა სახელი, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთხელ „მადიარ ვილჰელმ პიკ ვაგონ-ეს გეპდიარ ეტო დიორიც" კი ერქვა. ყველაზე ცნობილი, როგორც უკვე გითხარით, „რაბა ეტო დიორით" იყო. გუნდის ამჟამინდელი სახელი „დიორ ეტოა". ეტო აბრევიატურაა გუნდის სპონსორისა, რომელიც დაარსებიდან მოჰყვება.

„დიორის" ფერებია მწვანე და თეთრი. თამაშობს სტადიონ „ეტოზე", რომელიც წლევანდელი რეკონსტრუქციის შემდეგ 20 000 მაყურებელს იტევს.

ევროსარბიელზე უნგრული გუნდის ყველაზე დიდი მიღწევა ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში თამაშია (1964-65 წლების სეზონში), სადაც ეუსებიოს „ბენფიკასთან" დამარცხდა.

„დიორის" ტიტულები 60-იან და 80-იან წლებშია მოპოვებული. ბოლოს გუნდი ჩემპიონი 25 წლის წინ გახდა, ბოლო ტიტული კი 22 წლის წინ მოიპოვა.

თავის დროზე „დიორში" უთამაშიათ ოლიმპიურ ჩემპიონ (1964) კაროლ პალოტაის, ამერიკელ პიტერ ვერმესს და მიკლოშ ფეჰერს, რომელიც 2004 წელს, „ბენფიკას" შემადგენლობაში „ვიმარაეშთან" თამაშისას მოედანზე გარდაიცვალა 24 წლის ასაკში.

„დიორი" გაუწვრთნიათ ლეგენდარულ ნანდორ ჰიდეგკუტის და იოზეფ კიპრიხს.

ახლა გუნდის მწვრთნელი შანდორ ედერვანია. მისი თავკაცობით გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. „დიორმა" 30 მატჩიდან 16 მოიგო, 10 ფრედ ითამაშა და 4 წააგო, ბურთები 64:35. ედერმანი ქომაგებმა ლამის გმირად შერაცხეს, „დიორმა" ძველი დიდება უნდა დაიბრუნოს (თუ დააკვირდებით, „დიორის" ზეობა ყოველ 20 წელიწადში მეორდება, რაც სწორედ ახლა უწევს).

გუნდის წამყვანი ძალა ნახევარდაცვაა, სადაც უნგრეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები, 29 წლის ზოლტან ბოორი (21 თამაში) და მისი თანატოლი პეტერ შტარკი (19 თამაში) თამაშობენ. მათ თამამად ამოუდგა გვერდით 21 წლის ტამაშ კოლტაი, რომელიც ბოლო ოფიციალური თამაშისთვის მიიწვიეს ნაკრებში, თუმც მხოლოდ ერთი წუთი დაჰყო მოედანზე. ამის მიუხედავად, კოლტაი ყველაზე საშიშია იმერლებისთვის, ისევე, როგორც ჩერნიგორიელი ბოიან ბრნოვიჩი.

ბრნოვიჩი გუნდის საუკეთესო ბომბარდირია (გასულ სეზონში 10 გოლი), მას ორჯერ სერბეთის, ერთხელ კი ჩერნიგორიის ნაკრებში უთამაშია.

ბრნოვიჩის გარდა „დიორში" 6 ლეგიონერია — 2-2 სლოვაკი და სლოვენიელი, თითო-თითო გაბონელი და კამერუნელი.

აი, სულ ესაა, რაც მოვიპოვეთ „დიორის" შესახებ. ფაქტია, „ზესტაფონს" იოლი გასეირნება არ ელის. იმედია, უნგრელებიც ასე ფიქრობენ...

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბორსოდილიგა 2007-08

მტკ	30	20	6	4	67:23	66
დებრეცენი	30	19	7	4	67:29	64
ДИОРИ	30	16	10	4	64:35	58
უიპეშტი	30	16	7	7	58:40	55
ფეჰერვარი	30	17	3	10	48:32	54
კაპოშვარი	30	14	9	7	48:38	51
ზალაეგერსეგი	30	13	7	10	55:39	46
ჰონვედი	30	12	7	11	45:36	43
ვაშში	30	12	5	13	41:45	41
ნირედჰაზა	30	11	7	12	34:37	40
პაკში	30	9	10	11	51:51	37
EAC	30	7	9	14	42:60	30
დიოშდიორი	30	5	13	12	43:63	28
შიოფოკი	30	6	9	15	33:46	27
ტატაბანია	30	2	4	24	34:93	10
შოპრონი	30	2	5	23	10:73	0

„შოპრონს" ჩამოაცლეს ქულები

ევროთასეულის წილისყრა

ჩემპიონთა ლიგა 2008-2009

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამო (საქართველო)	—	რუნავიკი (ფარერები)
ლინფილდი (ჩრდ.ირლანდია)	—	დინამო (ხორვატია)
ლავალეტა (მალტა)	—	არტმედია (სლოვაკეთი)
სანტაკოლომა (ანდორა)	—	კაუნასი (ლიტვა)
მურატა (სანმარინო)	—	გიოტებორგი (შვედეთი)
ლანელი (უელსი)	—	ვენტსპილსი (ლატვია)
ანართოსისი (კვიპროსი)	—	პიუნიკი (სომხეთი)
ინტერი (აზერბაიჯანი)	—	რაბოტნიჩკი (მაკედონია)
ტამპერე (ფინეთი)	—	ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი)	—	დომჟალე (სლოვენია)
დინამო (ალბანეთი)	—	მოდრიცა (ბოსნია)
აქტობე (ყაზახეთი)	—	შერიფი (მოლდოვა)
დროჰედა (ირლანდია)	—	ლევადია (ესტონეთი)
ბატე (ბელარუსი)	—	ვალიური (ისლანდია)

I მატჩები გაიმართება 15-16 ივლისს, საპასუხოები — 22-23 ივლისს

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

პანათინაიკოსი (საბერძნეთი)	—	დინამო ან რუნავიკი
რეინჯერსი (შოტლანდია)	—	სანტაკოლომა ან კაუნასი
ბრანი (ნორვეგია)	—	ლანელი ან ვენტსპილსი
ინტერი ან რაბოტნიჩკი	—	პარტიზანი (სერბეთი)
ტამპერე ან ბუდუჩნოსტი	—	ლავალეტა ან არტმედია
ანართოსისი ან პიუნიკი	—	რაპიდი (ავსტრია)
დუდელანჟი ან დომჟალე	—	ლინფილდი ან დინამო
მურატა ან გიოტებორგი	—	ბაზელი (შვეიცარია)
აქტობე ან შერიფი	—	სპარტა (ჩეხეთი)
დროჰედა ან ლევადია	—	დინამო (უკრაინა)
ანდერლეხტი (ბელგია)	—	ბატე ან ვალიური
ბეითარი (ისრაელი)	—	ვისლა (პოლონეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი)	—	მტკ (უნგრეთი)
ოლბორგი (დანია)	—	დინამო ან მოდრიცა

I მატჩები გაიმართება 29-30 ივლისს,
საპასუხოები — 5-6 აგვისტოს

უეფას თასი 2008-2009

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

სპარტაკი (ტრნავა, სლოვაკეთი)	—	ვიტ ჯორჯია (საქართველო)
დიორ ეტო (უნგრეთი)	—	ზესტაფონი (საქართველო)
ჩერნო მორე (ბულგარეთი)	—	სანტა ჯულია (ანდორა)
პელისტერი (მაკედონია)	—	აპოელი (კვიპროსი)
ვადუცი (ლიხტენშტაინი)	—	ზრინსკი (ბოსნია)
შიროკი ბრიაგი (ბოსნია)	—	პარტიზანი (ალბანეთი)
ჰაპოელი (ირონი, ისრაელი)	—	მოგრენი (ჩერნოგორია)
კოპერი (სლოვენია)	—	ვლაჟნია (ალბანეთი)
ლიუბლიანა (სლოვენია)	—	ზეტა (ჩერნოგორია)
იუვენეს-დოგანა (სან მარინო)	—	ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)
ჰაიდუკი (ხორვატია)	—	ბირკირკარა (მალტა)
მილანო (მაკედონია)	—	ომონია (კვიპროსი)
მარშაქსლოკი (მალტა)	—	სლავენი (ხორვატია)
ზალცბურგი (ავსტრია)	—	ბანანცი (სომხეთი)
არარატი (სომხეთი)	—	ბელინცონა (შვეიცარია)
დაჩია (მოლდოვა)	—	ბორაცი (სერბეთი)
ტობოლი (ყაზახეთი)	—	აუსტრია (ავსტრია)
ჰერტა (გერმანია)	—	ნისტრუ (ოტაჩი, მოლდოვა)
ხაზარი (აზერბაიჯანი)	—	ლეხი (პოლონეთი)
ლეგია (პოლონეთი)	—	გომელი (ბელარუსი)
მტზ-რიპო (ბელარუსი)	—	ჟილინა (სლოვაკეთი)
შახტიორი (ყაზახეთი)	—	დებრეცენი (უნგრეთი)
ოლიმპიკი (აზერბაიჯანი)	—	ვოივოდინა (სერბეთი)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია)	—	გრევენმახერი (ლუქსემბურგი)
ვეტრა (ლიტვა)	—	ვიკინგი (ნორვეგია)
უნიონი (ლუქსემბურგი)	—	კალმარი (შვედეთი)
ჰონკა (ფინეთი)	—	აკრანესი (ისლანდია)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)	—	მეტალურგსი (ლატვია)
ბრონდბიუ (დანია)	—	ბ-36 ტორსჰავნი (ფარერები)
ნორდსიელანდი (დანია)	—	ტვმკ (ესტონეთი)
სტრეიმური (ფარერები)	—	მანჩესტერ სიტი (ინგლისი)
ოლიმპსი (ლატვია)	—	სენტ პატრიკსი (ირლანდია)
იურგორდენი (შვედეთი)	—	ფლორა (ესტონეთი)
სუდუვა (ლიტვა)	—	ნიუ საინტსი (უელსი)
კლიფტონვილი (ჩრდ. ირლანდია)	—	კოპენჰაგენი (დანია)
კორკ სიტი (ირლანდია)	—	ჰაკა (ფინეთი)
მიდტიულანდი (დანია)	—	ბანგორ სიტი (უელსი)

I მატჩები გაიმართება 17 ივლისს, საპასუხოები — 31 ივლისს

ქართული კომენტარები

პაპუნა ჯეფელაძის ფოტო

წილისყრის შედეგების შემდეგ თბილისის „დინამოს“ მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა ასეთი კომენტარები გააკეთეს...

რაინერ ცობელი: „ყველა მეტოქე რთულია და მოსაგებად ყველა თამაში მაქსიმალური მონდომებით უნდა ჩაატარო. როგორც მახსოვს, ფარერების ნაკრებთან მოგება გერმანიის ნაკრებსაც კი გაუჭირდა. თუ გვსურს, რომ „რუნავიკის“ ბარიერი დავძლიოთ, მატჩებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ და მთელი სერიოზულობით მოვემზადოთ“.

გიორგი მერებაშვილი: „რუნავიკთან“, შეიძლება ითქვას, წარმატების მეტი შანსი ჩვენ გვაქვს, თუმცა, არ დავივიწყოთ, რომ დღეს ყველამ ისწავლა ფეხბურთის თამაში და ამიტომაც მეტოქესთან მაქსიმალურად კონცენტრირებულნი უნდა ვიყოთ“.

დავით ოდიკაძე: „წყვილში ფავორიტად „დინამოს“ ვთვლი. ჯერ გაცდეთ „რუნავიკს“ და „პანათინაიკოსზე“ სასაუბროდ მერე მეტი დრო გვექნება“.

დავით დიღმელაშვილი: „კენჭისყრით კმაყოფილი ვარ. „დინამო“ ვალდებულია, „რუნავიკი“ დაამარცხოს და მომდევნო ეტაპზე გავიდეთ. მეორე მეტოქეში კი არ გაგვიმართლა, შესაძლო მეტოქეთაგან ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდი გვერგო. თუმცა, ვეცდებით, „პანათინაიკოსთანაც“ წარმატებით ვითამაშოთ და ქართული ფეხბურთის პრესტიჟი დავიცვათ“.

კოგა ინასარიძე


ვ. დოლენგიანის ფოტო

ნესტორ მუშლაძე, „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი: „წილისყრით უკმაყოფილო არ ვართ. მეტოქეზე ჯერ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუმცა უახლოეს დღეებში მოვიპოვებთ ვიდეომასალას. ერთი ფაქტია, რომ მაინც ჩეხური ფეხბურთის სკოლაა. ისინი ფიზიკურად კარგად იქნებიან მომზადებულნი და ალბათ არც ტექნიკა დაეწუნებათ. კარგია, რომ პირველ მატჩს სტუმრად გავმართავთ. რაც შეეხება ჩვენს მზადებას, ყველაფერი ნორმალურად მიდის. ამ შეკრებაზე სწორედ ტრნავის „სპარტაკის“ ყაიდის მეტოქეებთან გვაქვს დაგეგმილი მატჩები და ეს ეროვნული პლუსია.

...გუნდთან ერთადაა კაპიტანი ლექსო კვახაძე და ახალწვეული ვახტანგ კვარაცხელია, რომელმაც გასული სეზონი ცხინვალის „სპარტაკში“ ჩაამთავრა და ახლა ჩვენთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა“.



სანამ „ზესტაფონი“ თურქეთში გადის შეკრებას, შვეიცარიულ ნიონში მისი საუეფასთასო მეტოქე გაირკვა — უნგრული „დიორ ეტო“.

რა შანსები აქვთ იმერლებს და არიან თუ არა კმაყოფილნი, ამის შესახებ ფეროელთა მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ გვიპასუხა: „ძალიან სერიოზული გუნდია, კარგად ვიცნობ. ფაქტია, რთული ბრძოლა გველის. შანსებზე ჯერ ნუ ვილაპარაკებთ. კარგია, რომ მეორე მატჩს შინ ვთამაშობთ. წილისყრით მეტ-ნაკლებად კმაყოფილნი ვართ, უარესიც შეიძლებოდა. ერთია, ბრძოლა იქნება და მატჩებისთვის მთელი სერიოზულობით მოვემზადებით“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

13:0 და ორი ჩეხი

დინამო გერმანიაში ძლიერდება

გერმანიაში მოსამზადებლად მყოფმა თბილისის „დინამომ“ გუშინ ბადბლანკერბურგის ნაკრებთან ამხანაგური მატჩი ჩაატარა და 13:0 მოიგო. თბილისელთა მეტოქე მოყვარული ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული და რა გასაკვირია, რომ ჩვენებმა იოლად იმარჯვეს.

რაინერ ცობელმა ეს ფეხბურთელები ათამაშა: *ლოსაბერიძე, შ. კაშია (კრშკო 58), თომაშვილი, ნესვადბა, შირანეცი (გ. კაშია 68), ოდიკაძე, ფირცხალავა (ხმალაძე 73), ნერგაძე (დიღმელაშვილი 58), გუგავა (ჯიშკარიანი 62), ქანთარია, სპასოევიჩი (გველესიანი 82).*

გოლებით გამოირჩნენ სპასოევიჩი (3), გუგავა (3), ოდიკაძე (3), ქანთარია, შირანეცი, გველესიანი, გ. კაშია.

გუშინ ბადბლანკერბურგში „დინამოს“ ორმა ჩეხმა ფეხბურთელმა ჩააკითხა და ისინი ახლა რაინერ ... ბელისთვის თავის მოწონებას ეცდებიან. იარონსლ... ნესვადბა 26 წლის მცველია, ადრე სანკტ პეტერ... რგის „ზენიტში“, ჩეხეთის „ბოლესლავსა“ და „იაბლ... ონეცში“, ასევე ხორვატულ „ინტერზაპრეშიცსში“ თა... მაშობდა. პაველ შირანეცი კი ნესვადბაზე ორი წლით... უმცროსია, ამპლუით ისიც მცველი. ბოლოს შირანე... ცი ჩეხეთის მეორე ლიგის ერთ-ერთ გუნდში იყო, ხოლო იქამდე ჩეხურ „ოპავაში“, „ჰრადეც კრალოვეში“ და „ლიბერეცში“.

ვნახოთ, გამოადგებიან თუ არა ახალი ჩეხი ფეხბურთელები გერმანელ მწვრთნელს. ისე კი, „დინამო“ დღე-დღეზე სხვა უცხოელებსაც ელის.

კოგა ინასარიძე

უეფამ ზესტაფონი გააახარა!


www.fczestafoni.ge

„ზესტაფონი“ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს შინაურ სარბიელზე გამართავს — ასეთია უეფას პასუხი, რომელიც გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მივიდა.

ამგვარად, ზესტაფონელებს შრომა დაუფასდათ — სტადიონის რეკონსტრუქციამ უეფას წარმომადგენელი მოხიბლა და, როგორც ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის ხელმძღვანელმა ბაქარ ... ანიამ გვითხრა, თუ იმერლები ყველა რ... ვას გაითვალისწინებენ, დიდი შანსია, წ... რმატების შემთხვევაში, მეორე ეტაპის მატჩიც შინ ჩაატარონ.

ბაბა შალამბერიძე

დავით თარგამაძე საზეიმო შეხვედრაზე

მინისტრებმა პატარა ფრაიბურგი დააფასეს

„არც „შტუტგარტი“ და არც მიუნხენის „ბაიერნი“, რომელთა ფინანსური მდგომარეობა „ფრაიბურგისას“ ბევრად სჯობს... მაგრამ ჩვენმა გუნდმა სასწაული მოახდინა და ბუნდესლიგის ჩემპიონობა მოიგო, რაც ათმაგად დასაფასებელია“ — თქვა ბადენვიუმტერბერგის მხარის პირველკაცმა დიტერ სალომონმა და „ფრაიბურგის“ 19-წლამდელთა გუნდს გერმანიის ჩემპიონობა მოიულოცა.

ქართველი დავით თარგამაძე ერთერთი საუკეთესო იყო „ფრაიბურგის“ 19-წლამდელებში, ის გუნდთან ერთად იყო საზეიმო შეხვედრაზე, სადაც სალომონის გარდა, გერმანიის სპორტისა და კულტურის მინისტრმა, კიდევ „ფრაიბურგის“ პრეზიდენტმა აკიმ ტოკერმა წაახალისეს სხვადასხვა პრიზებით.

თარგამაძისთვის კი მთავარი წახალისება წინაა — ალბათ, ამ ზაფხულსავე შეაბიჯებს მეორე ბუნდესლიგაში.

ილია ნანობაშვილი

ჯობდა, გავვარდნილიყავით

ბათუმი პირველ ლიგას შეეგუა

საქართველო ახალი ჩემპიონატის მოლოდინშია, თუმცა ელიტა კიდევ ერთი ძველი ბინადრის, „ბათუმის“ გარეშე დაიწყება. „ბათუმს“ ახლა ძალიან უჭირს — გუნდი პირველ ლიგაში ითამაშებს და საელიტო პერსპექტივა ჯერ ბურუსშია. როგორც შევიტყვეთ, გუნდი, ფაქტობრივად, დაშლის პირასაა... გუშინ ბათუმური ამბების გასაგებად აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ დავით თავართქილაძეს დავუკავშირდით...

— მართალია, „ბათუმი“ დაიშალაო?

— გუნდი ძირითადმა შემადგენლობამ უკვე დატოვა. ახლა მხოლოდ ადგილობრივი ახალგაზრდები არიან და პირველი ლიგისთვის ემზადებიან.

— ესე იგი, შეგიძლიათ თქვათ, რომ „ბათუმი“ იარსებებს?

— კი და პირველ ლიგაშიც ითამაშებს.

— ვინ უპატრონებს კლუბს?

— ახლა ბათუმში პრეზიდენტების სამდღიანი სამიტია და ამისთვის არავის სცალია, თუმცა ქალაქის მერია, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად, გვპირდება, რომ აუცილებლად დაგვეხმარება და სპონსორსაც მოგვიძებნის.

— „ბათუმს“ სტადიონის პრობლემაც აქვს...

— ქალაქის მერია ეძებს ადგილს, სადაც კარგი სტადიონი აშენდება. ვფიქრობ, ეს საკითხიც მალე გადაწყდება. ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად, რამდენიმე ადგილი მოვინახულეთ, მათგან ერთი შეირჩევა და ბათუმს სტადიონი ექნება.

— „ბათუმი“ პირველ ლიგაში — ქართული ფეხბურთის გულშემატკივართათვის საწყენი ფაქტია. მაინც რა ამბიცია ექნება „ბათუმს“ სამომავლოდ?

— ვფიქრობ, ამ ეტაპზე უკეთესიც იყო, რომ „ბათუმმა“ ელიტა დატოვა — უმაღლესი ლიგის ფასი გვეცოდინება. გვიჭირს გულშემატკივრისთვის პასუხის გაცემა, მაგრამ ჯობდა, ჩვენ დაგვეტოვებინა უმაღლესი ლიგა, ვიდრე იმ გუნდებს, ვისაც უკეთესი ინფრასტრუქტურა აქვს. შევეცდებით, ჩვენც მალე მოვაგვაროთ სიტუაცია და უმაღლესში გადასვლაზე ვიზრუნოთ, რითაც ბათუმელ გულშემატკივარს გავახარებთ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ჩავალ და ალბათ წავალ

ლევან მჭედლიძე გამოჯანმრთელდა

საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „ემპოლის“ თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე გამოჯანმრთელდა და სრული დატვირთვით ვარჯიში დაიწყო. გეხსომებათ, 18 წლის ფეხბურთელმა მენისკის ოპერაცია გადაიტანა და მას შემდეგ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობდა. ახლა ლევანს ასეთი პრობლემები აღარ აწუხებს, თავს კარგად გრძნობს და მალე კლუბსაც შეუერთდება...

— უკვე კარგად ვარ, აღარაფერი არ მაწუხებს და ვარჯიშითაც ვვარჯიშობ. საბედნიეროდ, რთული პერიოდი უკან მოვიტოვე.

— იტალიაში როდის მიდიხარ?

— ერთ კვირაში ჩავალ და „ემპოლისთან“ ერთად გავაგრძელებ ვარჯიშს.

— „ემპოლი“ სერია B-შია და გადაწყვიტე ამ გუნდში დარჩენა?

— ჯერ არაფერი გადამიწყვეტია. ჩავალ და ყველაფერს გავარკვევ.

— გატყობ, წასვლაზე უფრო ფიქრობ...

— ვნახოთ... დაახლოებით ერთ თვეში გადაწყდება ყველაფერი.

— ალბათ ვარიანტებიც გაქვს...

— როგორც ვიცი, საკმაოდ ბევრი წინადადებაა, თუმცა ჯერ მეტს ვერაფერს გეტყვი.

— რომელიმეს არ გაამხელ?

— ჯერ არა. თან ასი პროცენტით გადაწყვეტილი არცერთი არაა და არ მინდა, წინასწარ ნათქვამად გამომივიდეს.

— ამ ხნის განმავლობაში „ემპოლიდან“ თუ დაგიკავშირდა ვინმე და საერთოდ, რას გეუბნებიან მომავალზე?

— თითქმის ყოველდღე მირეკავენ და ჩემს ამბებს კითხულობენ. როგორც შევატყვე, მათ არ უნდათ ჩემი გაშვება, მაგრამ ვნახოთ... თუ კარგი ვარიანტი იქნა, ყველანაირად ვეცდები წასვლას.

ქაჯა შალამბერიძე

ტოპ-350 და ისევ დინამო

მსოფლიოს ფეხბურთის სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ, საკლუბო რეიტინგი გამოფინა და წინა თვის მსგავსად, ტოპ-350-ეულში საქართველოდან მხოლოდ თბილისის „დინამოა“, რომელმაც 243-ე ადგილიდან 242-ეზე აინაცვლა, თუმც დინამოელთა იდეინტური ქულები კიდევ 5 კლუბს აქვს.

რეიტინგის სათავეში, ცხადია, ისევ „მანჩესტერ იუნაიტედია“, არგენტინული „ბოკა ხუნიორსი“ კი ლიბერტადორესის თასზე ჩაფლავების შემდეგ მეორედან მეცხრე ადგილამდე დაქვეითდა.

ილია ნანობაშვილი

1	(1)	მანჩესტერი	286
2	(3)	ჩელსი	258
3	(5)	ბაიერნი	252
4	(6)	რეინჯერსი	251,5
5	(4)	ბარსელონა	251
6	(7)	რომა	248
7	(8)	ლივერპული	243
8	(9)	არსენალი	237
9	(2)	ბოკა	231
10	(10)	ინტერი	226
242	(243)	დინამო	75

ცხადაძის ქართულ-უცხოური თვალი

ხიდეშელმა სტანდარდი საბოლოოდ იუარა

აზერბაიჯანული „სტანდარდის“ ხელმძვანელობა ქართველ მწვრთნელ კახა ცხადაძეს ძალიან ემადლიერება და სრულ ნდობას უცხადებს — არცთუ კარგი შედეგის მიუხედავად, თამაშის ხარისხით კმაყოფილნი არიან და ჩვენებურს ერთი წლით გაუხანგრძლივეს კონტრაქტი. ცხადაძე უყურადღებოდ არც აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს რჩებათ და ხშირად ირჩევენ რესპონდენტად...

კახა ცხადაძის ფოტო

— ახალ სეზონში „სტანდარდისგან“ რას უნდა ველოდოთ?

— ყველაფერს. ახლახან კლუბის ხელმძღვანელებს შევხვდი, რომლებმაც მიზნად ხუთეულში მოხვედრა დაგვისახეს. თუ სათანადოდ გავძლიერედებით, ამ ამოცანის გადაჭრა შეუძლებელი არ ჩანს.

— ამ დროისთვის რას მიაღწიეთ გასაძლიერებლად?

— გუნდში უკვე გადმოვიყვანე ავთანდილ გაჯიევი. კონტრაქტები გავუგრძელეთ ამირჯანოვს, ფარადჯაბეს, მარტინესს, ლეონარდოს, პისლოს, ედვინასს, გუტიერესს. ამ უკანასკნელის ტრანსფერი საუკეთესოდ მიმაჩნია გასულ სეზონში. ვაგვარებთ საკითხებს ვენტილთან.

— ის რას ითხოვს?

— ხელფასის გაზრდას.

— ახალწვეულები კიდევ იქნებიან?

— რა თქმა უნდა. ჩამოვიდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე მიხეილ ალავიძე, რომელიც ალბათ გუნდში დარჩება. ალავიძე ძალიან კარგი მეკარეა, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, დიდი გამოცდილება აქვს. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ საქართველოს ნაკრების 20 წლის ნახევარმცველ გიორგი ხიდეშელის გადმობირება — მან აქ ჩამოსვლა არ ისურვა.

— როგორც გატყობთ, აქცენტს ახალგაზრდებსა და თანამემამულეებზე აკეთებთ...

— პირველი გამოიცანით, რაც შეეხება თანამემამულეებს — მათ კარგად ვიცნობ და ამიტომ ვაკეთებ აქცენტს მათზე. ამასთან, გუნდში აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელიც ისინჯება.

— როგორც ჩანს, ლეგიონერებზე ლიმიტის სრულად გამოყენებას აპირებთ...

— ასე ვერ ვიტყოდი. „სტანდარდში“ საკმარისად არიან ადგილობრივი ფეხბურთელები.

— ხელმძღვანელობა სწრაფად ითხოვს შედეგს და გაახალგაზრდავებით არ გაგიჭირდებათ?

— ძირითადი ბირთვი შენარჩუნდება და გუნდში გამოცდილი ფეხბურთელებიც იქნებიან. მთავარია მოთმინება და შედეგიც იქნება.

— მოსამზადებელი პერიოდი როგორ გაანაწილეთ?

— ჯერ ბაქოში მოვემზადებით, შემდეგ ორი კვირა ბულგარეთში გავივლით შეკრებას და ისევ ბაქოში დავასრულებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუის არაგონესი: იმიტომ, რომ განსაკუთრებული დრო გვიდგას

თითქოს რაღა უნდა უნდოდეს 69 წლის მწვრთნელს, რომელმაც მწვრთნელობისთვის მხცოვან ასაკში ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახადა... ალბათ, დამსახურებული პენსია. მაგრამ ეს ლუის არაგონესია, მწვრთნელი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე რაულ გონსალეს ბლანკო არ წაიყვანა და ამის გამო თავსდატეხილი კრიტიკა უდრტვინველად მიიღო. მწვრთნელი, რომელსაც ნახევარფინალში ბომბარდირი დავიდ ვილია დაემტვრა და იმის მაგიერ, რომ წუწუნი დაეწყო და ამით ფინალში შესაძლო წაგების შემთხვევაში თავი დაეზღვია — რა მექნა, ვილია არ მყავდაო — ასე თქვა: ჩვენ ვილიას გარეშეც ძალიან მაგრები ვართო... ლუის არაგონესი „ფურია როხას“ ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე რომ დატოვებდა, ადრევე იყო ცნობილი, მხცოვანი დამრიგებლის მომდევნო გაჩერება კი თურქეთია. ჩემპიონობის მოპოვების მეორე დღეს კი არაგონესი ყველა დროის საუკეთესო ესპანელ მწვრთნელად აღიარეს სამშობლოში

— რას გრძნობთ ახლა, როცა ესპანური ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მწვრთნელად გაღიარეს?

— საერთოდ, ემოციური ადამიანი არ ვარ, თუმცა ახლა ემოციის მოთოკვა მიჭირს. ეს იმიტომ, რომ ახლა განსაკუთრებული დრო გვიდგას, ჩვეულებრივ სიტუაციაში კი ვცდილობ, ემოციები მოვთოკო. ამ დღეებში ჩემი ფეხბურთელებისგან ისეთი თბილი სიტყვები მოვისმინე, ძნელია, მღელვარება შეიკავო.

— თუ გაქვთ გააზრებული, რამხელა წვლილი შეიტანეთ ესპანური ფეხბურთის განვითარებაში?

— ყველაფრის გასააზრებლად დროა საჭირო. მღელვარება უნდა ჩაცხრეს და ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში დაბრუნდეს. ამავე დროს, კარგად მესმის, თუ რას ნიშნავს ეს გამარჯვება ჩვენი ფეხბურთისთვის: ეს არის გზა, რომელიც ჩვენმა ფეხბურთელებმა ტალანტით, ერთიანობით და ჟინით გაიკვლიეს. არაერთხელ მითქვამს და ისევ გავიმეორებ, რომ გამარჯვებას მოთამაშეთა თავდაუზოგავი მუშაობით და ბრწყინვალე ფიზიკური მომზადების წყალობით მივაღწიეთ. ვიცი, რომ ყველანი კმაყოფილები არიან იმ მუშაობით, რაც გავწიეთ.

— ინსბრუკის აეროპორტში ავსტრიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა და გულშემატკივრებმა მადლობით გაგაცილეს...

— ჩემპიონატს ბრწყინვალე მასპინძლები ჰყავდა. ისინი არაჩვეულებრივი ადამიანები არიან. აღფრთოვანებული ვარ ჩვენდამი მათი დამოკიდებულებით. ისღა დამრჩენია, მადლობა გადავუხადო მათაც და თქვენც, ჟურნალისტებს. ჩვენ ავსტრიაში თავს ისე ვგრძნობდით, როგორც საკუთარ სახლში.

— ევროპული პრესაც ერთხმად აღიარებს, რომ ამდენი უტიტულო წლის მერე ესპანეთის ნაკრებმა მსოფლიო გააოცა თავისი კლასით და მობილური თამაშით...

— ჩვენ ვცდილობდით, საკუთარი თამაშის სტილი მოგვეხვია მეტოქეებისთვის. ვიცოდით, რომ გზას, რომელიც ავირჩიეთ, ბოლომდე უნდა მივყოლოდით. ყველა ფეხბურთელი ყველა მატჩში ზუსტად ასრულებდა თავის მოვალეობას, აჩვენებდნენ, რომ ბურთის ფლობა შეეძლოთ და გააჩნდათ უნარი, მატჩის სადავეები წამითაც არ გაეშვათ ხელიდან.

— ახლა თურქეთში მიდიხართ, „ფენერბაჰჩეს“ მთავარი მწვრთნელი ხდებით. არადა, არც ფეხბურთელებს და არც გულშემატკივრებს თქვენი წასვლა არ სურთ...

— ამ სურვილისთვის მათ მადლობას ვუხდი და ვფიქრობ, ახლა სწორედ ის დროა, მშვიდად რომ წავიდე უცხოეთში სამუშაოდ.

იოახიმ ლიოვი: ფინალში მარცხი სტიმული უნდა იყოს

ევროპის ჩემპიონატის ფინალში დამარცხების მიუხედავად, ბუნდესნაკრების მთავარი მწვრთნელის იოახიმ ლიოვის სკამი არ შერყეულა. გერმანიაში მისი მუშაობით კმაყოფილნი არიან და ლიოვიც ახლა მომდევნო ორწლიან ციკლზე ფიქრობს. ფიქრი კი, მოგეხსენებათ, დაშვებული შეცდომების ანგარიშით იწყება

— როგორ შეაფასებთ ფინალს?

— უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაღიარო, რომ ესპანეთს ძალიან მაღალი კლასის ნაკრები ჰყავს. მათ არაერთი ნაღდი საგოლე მომენტი შექმნეს. გოლი რომ გავუშვით და უკან დასახევი გზა აღარ გვქნოდა, მაშინაც კი ვერ შოვახერხეთ სახიფათო მომენტების შექმნა. გათანაბრების შანსი პრაქტიკულად არც გვქონია, ესპანეთი კი მწვავედ შეტევას განაგრძობდა. მათ სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვეს.

— მარცხის გამო იმედგაცრუებული იქნებით...

— რა თქმა უნდა, ნებისმიერი წაგება გულდასაწყვეტია, ფინალში წაგება კი განსაკუთრებით. თუმცა, ამავე დროს, ჩემი გუნდიც მინდა შევაქო. ის, რაც ბუნდესნაკრებმა ბოლო რამდენიმე კვირაში გააკეთა, უბრალოდ ფანტასტიკურია. გულშემატკივარს სიხარული და სიამოვნება ვაჩუქეთ, ხოლო მეტოქეებისგან პატივისცემა დავიმსახურეთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და არ უნდა დაგვავიწყდეს.

— რა უთხარით ფეხბურთელებს ფინალის მერე გასახდელში?

— ფეხბურთელებს ვუთხარი, რომ მათ მაინც შეეძლოთ იამაყონ, ჩვენ ხომ ფინალში გავედით და ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს.

— მაინც რა დააკლდა გუნდს ფინალის მოსაგებად?

— გთხოვთ, თამაშის დეტალურ ანალიზს ახლა ნუ მომთხოვთ. ტურნირის და თითოეული ფეხბურთელის მუშაობის გასაანალიზებლად დროა საჭირო. ახლა, ამ ემოციურ ფონზე სრულყოფილი ანალიზის გაკეთება ძნელია. თუმცა ზოგადად ახლავე ვიცი, რა შეცდომებიც გვქონდა და რა მიმართულებით მოგვიწევს მუშაობა. სამწუხაროდ, ზოგიერთ მატჩში ისეთი ხარისხიანი ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ, როგორსაც წინა ორ წელიწადში ვთამაშობდით.

— კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა ფინალის წინ ტრავმა რომ მიიღო, რა უთხარით, როგორ დაამშვიდეთ?

— მიხარია, რომ მან თამაში მაინც შეძლო. მოედანზე მისი ყოფნა მთლიანად გუნდისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. პირადად მისი თამაშის ანალიზი კი არ მსურს.

— მაშინ ასე გკითხავთ, როგორ შეაფასებთ ბალაკის თამაშს მთლიანად ჩემპიონატზე?

— ის ჩვენი ნაკრების ნამდვილი ლიდერი იყო. გუნდისთვის ძალიან ბევრი გააკეთა და მსოფლიოს ნამდვილი გერმანელის სახე და ხასიათი აჩვენა.

— შეიძლება თუ არა ესპანეთის ნაკრები სანიმუშოდ ჩაითვალოს?

— დიახ. ესპანელები საოცრად ტექნიკურები არიან. გარდა ამისა, ბევრი ესპანელი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს, ლიგაში თამაში კი ძალიან ბევრს ნიშნავს. ბურთსაც საუკეთესოდ აკონტროლებენ.

— რა ელის გერმანიის ნაკრებს?

— ევროპის ჩემპიონატზეც და იქამდეც, საკვალიფიკაციო ეტაპზეც ადვილად შესამჩნევი იყო, რომ ჩვენ ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ვართ. საამისოდ ძალიან ბევრი მუშაობა დაგვჭირდა. და არა მხოლოდ ევროპაში, ჩვენ მსოფლიოშიც ერთ-ერთი საუკეთესონი ვართ. ახლა მთავარია, ასეთივე ტემპით და მონდომებით განვაგრძოთ მუშაობა, რათა პოზიციები არ დავთმოთ.

— იენს ლემანი დარჩება ნაკრებში?

— სამომავლო გეგმების თაობაზე მასთან ჯერ არ მისაუბრია. ლემანს მხოლოდ მადლობა გადავუხადე იმ სამუშაოსთვის, რაც მან გასწია. ზოგადად კი ის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა ჩვენი გუნდისთვის.

— სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი იწყება. რას უნდა ელოდნენ გულშემატკივრები გერმანიის ნაკრებისგან?

— ფინალში დამარცხება სტიმული უნდა იყოს იმისთვის, რომ მომდევნო ორი წელი სუსტი წერტილების გაძლიერებაზე და შეცდომების აღმოფხვრაზე ვიმუშაოთ. რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად, იქ კი ისევე ვეცდებით თავის წარმოჩენას, როგორც ამ ევროპის ჩემპიონატზე.

ხელი არ მახლო!

პენსიონერმა სიახლეს შეუტია

„ლიონის“ მეჯარიმემ ჟუნინიომ ახალ მწვრთნელს, კლოდ პიუელს სიტყვა დააჯახა. ბრაზილიელი წასვლით იმუქრება, თუ ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებენ.

46 წლის პიუელი ორი კვირის წინ მივიდა „ლიონში“ და ცვლილებებს აპირებს. ეს იყნოსა ჟუნინიომ და პირობა წაუყენა. „ლიონის“ ზედიზედ შვიდგზის ჩემპიონობაში 33 წლის ბრაზილიელის ფეხიც ურევია და სიტყვა ეთქმის.

კლუბმა ორი ახალი ნახევარმცველი იყიდა — ჟან მაკუნი და ედერსონი. ვიღაც ძირითადი შემადგენლობიდან უნდა ამოვარდეს და საპენსიო ასაკს მიახლოებული ჟუნინიოს ადგილის დათმობა არ სურს.

კლოდ პიუელი ბრაზილიელის ნათქვამს არ დაუშინებია და გუნდიდან გასაქცევად არ ემზადება.

„ჟუნინიოს საქციელში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ — თქვა მან — ახლა სატრანსფერო სეზონია და შესაფერისი დროა მსგავსი განცხადებებისთვის. ბუნებრივია, რომ ახალი მწვრთნელის მოსვლისთანავე არა მხოლოდ ჟუნინიოს, ყველა ფეხბურთელს კითხვა უჩნდება.

მზად ვარ ვესაუბრო, ოღონდ არა მისი გამონათქვამის გამო. მსურს, თითოეული მოთამაშისგან ყველაფერი ვიცოდე წინა სეზონზე და გავიგო, რა იქნება გუნდისთვის უკეთესი“.

ჩემპიონატის დაწყებამდე ექვსი კვირაა და კლოდ პიუელმა უნდა მოასწროს ძირითადი შემადგენლობის თერთმეტეულის შერჩევა.

მეკარე გრეგორი კუპეს ტრანსფერი მადრიდის „ატლეტიკოში“ ჰაერშია გამოკიდებული, ცენტრალური მცველი სებასტიან სკილაჩი კი, სავარაუდოდ, „სევილიაში“ გადავა.

მიუხედავად ამისა, მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ „ლიონში“ დარჩენილი ფეხბურთელები ზედიზედ მერვე ჩემპიონობისთვის ბრძოლას შეძლებენ.

„თუ სატრანსფერო ფანჯრისას ვინმე წავა, შემცვლელებს მოვუნახავთ — განაცხადა კლოდ პუელმა

ჟუნინიო

— მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ შემადგენლობასაც აქვს საჩემპიონო პოტენციალი. განსაკუთრებით ნახევარდაცვა იქნება ძლიერი“.

„ლიონი“ საფრანგეთში გაბატონებულია და კლუბის პრეზიდენტი ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნებობს, მაგრამ მწვრთნელის აზრით: „არა მგონია, რომ შინაური ჩემპიონატი ჩვენთვის მეორეხარისხოვანი გახდეს. თუ აქ ვერ ვიქნებით ძლიერნი, კონკურენციას ევროპაშიც ვერავის გავუწევთ. ბედნიერი ვარ, რომ ამ გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებსაც ყოველ სამ დღეში უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლიათ“.

ვაჟა ხუციშვილი

კლინსმანი ფსიქოლოგით და ანალიტიკოსით შეიარაღდა

ორწლიანი დასვენების შემდეგ იურგენ კლინსმანი სამწვრთნელო საქმეს დაუბრუნდა. ოფიციალურად იგი გუშინ გახდა მიუნხენის „ბაიერნის“ თავკაცი, მაგრამ პირველი ვარჯიში ორშაბათს გამართა.

იურგენ კლინსმანმა მიუნხენურ კლუბში ოტმარ ჰიცფელდი შეცვალა, რომელიც სამუშაოდ შვეიცარიის ნაკრებში წავიდა. ჰიცფელდმა „ბაიერნის“ ახალ მწვრთნელს გერმანიის ჩემპიონი და თასის მფლობელი გუნდი ჩააბარა.

კლუბის შეფმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ კლინსმანის დანიშვნით ერთი წლის წინ დაწყებული რეფორმა გაგრძელდება. შარშან „ბაიერნმა“ ტრანსფერებში 69 მილიონი დახარჯა. მომდევნო ნაბიჯი კი რეფორმატორი სპეციალისტის ანუ იურგენ კლინსმანის მოყვანა იყო, რომელმაც გერმანიის ნაკრების თავკაცობისას გუნდში ბევრი სიახლე მიიტანა.

„ბაიერნის“ ახალი მწვრთნელის შტაბში ათი კაცია. მათ შორის ფსიქოლოგი და ანალიტიკოსი, ვინც ყველა მატჩს დაწვრილებით გაარჩევს.

კლინსმანმა ფეხბურთელებს უთხრა, რომ მთელი სავარჯიშო დღის განმავლობაში ბაზიდან ფეხს ვერ მოიცვლიან. ვარჯიშებს შორის შესვენებებს კი მოსაზადებელ ცენტრში გაატარებენ.

გერმანელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ იურგენ კლინსმანის მისვლით „ბაიერნში“ პოზიციებს ის ფეხბურთელები გაიმყარებენ, რომლებსაც იგი ნაკრებში მუშაობისას ენდობოდა. ესენი არიან ბასტიან შვაინშტაიგერი, ფილიპ ლამი, მიროსლავ კლოზე და ლუკაშ პოდოლსკი. ევროპის ჩემპიონატზე ნაკრების ათი გოლიდან რვა ჩამოთვლილმა მოთამაშეებმა გაიტანეს.

ვაჟა ხუციშვილი

ჩელსიმ საჰარი პომპეის ათხოვა

ისრაელის ნაკრების ნიჭიერი თავდამსხმელი ბენ საჰარი, რომლისგანაც ძალიან ბევრს ელიან, ლონდონის „ჩელსიმ“ ერთი წლით „პორტსმუთში“ გაანათხოვრა.

საჰარმა „ჩელსიში“ 2006 წელს ამოჰყო თავი. მას მერე 18 წლის ფეხბურთელმა „ქუინზ პარკ რეინჯერსსა“ და „შეფილდ უენსდიში“ გახლდათ განათხოვრებული. ახლა კი „პომპეის“ რიგებში მიიღებს სათამაშო პრაქტიკას.

„პორტსმუთმა“ საჰარი ჰარი რედნაპის დაჟინებული მოთხოვნით დაიმატა. ბენს სხვა მსურველებიც ჰყავდა, მაგრამ...

„ყოველთვის მინდოდა, პრემიერლიგაში მეთამაშა და ბედნიერი ვარ, რომ „პორტსმუთში“ აღმოვჩნდი. ამ გამოწვევისთვის მზად გახლავართ და იმედია, შესაძლებლობებს გამოვავლენ. ვეცდები დავადასტურო, რომ ასეთ მაღალ დონეზე თამაშს უკვე ვიმსახურებ“ — განაცხადა საჰარმა.

კოკი კანდელაკი

კასილიასის დედის ქუჩა...

ყველა ქვეყანაში მიღებულია თავიანთი გმირების საპატივცემულოდ ქუჩებისთვის მათი სახელის დარქმევა. თუმცა ევროპის ჩემპიონატის მოგებით გახარებული ესპანელები უფრო შორს წავიდნენ... ქომაგთა გარკვეულ ნაწილს სურს, რომ მოსტოლესში დაბადებული იკერ კასილიასის დასაფასებლად ერთ-ერთ ქუჩას მისი დედის სახელი დაერქვას — „დედის ქუჩა, რომელმაც კასილიასი გააჩინა“.

ამ იდეის მხარდასაჭერად უკვე ვებგვერდიც გაიხსნა და შეგროვებულია 6 ათასზე მეტი ხელმოწერა. ესპანურად ქუჩის სახელი ასე გამოიყურება: „Calle de la madre que pario a Cassillas“.

პავლიუჩენკო მანჩესტერში?

რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ფორვარდი რომან პავლიუჩენკო, შესაძლოა, „მანჩესტერ იუნაიტედში“ აღმოჩნდეს. „წითელი ეშმაკების“ მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი ტოტენჰემელი დიმიტარ ბერბატოვითა და ბლექბერნელი როკე სანტა კრუსითაც დაინტერესებულია. შოტლანდიელი სპეციალისტის თქმით, ზაფხულში ბევრ შენაძენს არ გეგმავს — ერთი ან ორი ფეხბურთელით შემოვიფარგლებითო.

კატანიამ ლედესმა იყიდა

სიცილიურმა „კატანიამ“ პაბლო ლედესმა შეიძინა. 24 წლის ნახევარმცველს „ელეფანტი“ საკმაო ხანი უტრიალებდა და ბოლოს მიაღწია კიდეც მიზანს. უცნობია, თუ რამდენი გადაუხადა „კატანიამ“ მასში „ბოკა ხუნიორსს“. შეგახსენებთ, რომ აქამდე კლუბი რუმინელი ნიკოლაე დიკათი გასძლიერდა.

კნეჭევიჩი იუვეში

ტურინის „იუვენტუსმა“ დარიო კნეჭევიჩისთვის ბრძოლაში თანაქალაქელ „ტორინოს“ აჯობა. ხორვატი მცველი ივარის წესით გადავიდა „ბიანკონერიში“. მომავალ ზაფხულს კი „იუვე“ ალბათ ბოლომდე გამოისყიდის ხორვატს „ლივორნოსგან“.

გარდა ამისა, „ბებერი ქალბატონი“ ახლოს ყოფილა პორტუგალიის ნაკრებისა და ლისაბონის „სპორტინგის“ ნახევარმცველის მიგელ ველოზუს ხელში ჩაგდებასთან. 22 წლის ფეხბურთელის აგენტმა განაცხადა, 50 პროცენტია იმის შანსი, რომ ჩემი კლიენტი „იუვენტუსში“ გადავაო.

ვიერი ატალანტაში დაბრუნდა

ბრიტანული პრესის ინფორმაცია, თითქოს კრისტიან ვიერი პრემიერლიგაში ახალაღზევებულ „ჰალში“ გადასული გახლდათ, მცდარი გამოდგა. ვეტერანმა ფორვარდმა ისევ „ატალანტაში“ ამოჰყო თავი. ბერგამოელთა რიგებში ბობო თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა, ეს არის „ატალანტაში“ მისი მესამედმისვლა.

მოგეხსენებათ, ბერგამოელთა ფანები კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ამ ტრანსფერს, ეგ „მოღალატე“ კლუბში არ დაბრუნითო, მაგრამ ხელმძღვანელობამ მათ პროსტესტს ანგარიში არ გაუწია.

ბიშოფი მეთოფე გახდა

ლონდონის „არსენალმა“ „ვერდერიდან“ ამორ ბიშოფი დაიმატა. ნახევარმცველი ბრემენელებში 2005 წლიდან ირიცხებოდა, მაგრამ არცერთ მატჩში არ უთამაშია.

კარგ გუნდში ვიყავი, მაგრამ უკეთესში გადავედი და ვეცდები, შესაძლებლობები გამოვავლინო. „მეთოფეების“ მწვრთნელი არსენ ვენგერი ჯერ კიდევ „სტრასბურიდან“ მიცნობს და სჯერა, რომ შეძლებია, კლუბს სარგებელი მოვუტანო“ — თქვა ბიშოფმა.

არკონადას ძმა არკონადა

„ალმერიას“ მწვრთნელად გონსალო არკონადა დანიშნეს და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. ესპანეთის ნაკრების ყოფილი მეკარის ლუის არკონადას ძმამ წინა სეზონში სეგუნდა დივიზიონიდან პრიმერაში „ნუმანსია“ გადაიყვანა, მაგრამ „ალმერიას“ უკეთესი პირობების გამო დათანხმდა. გონსალო არკონადამ უნაი ემერი შეცვალა, რომელიც „ვალენსიას“ თავკაცი გახდა. ემერის ხელში „ალმერიამ“ მერვე ადგილი დაიკავა.

ახალი კონტრაქტი ჰადლსტოუნს

ლონდონის „ტოტენჰემმა“ თავის ახალგაზრდა ნახევარმცველთან ტომ ჰადლსტოუნთან ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ნიჭიერმა ფეხბურთელმა წინა სეზონში გუნდის ღირსება 43-ჯერ დაიცვა და 4 გოლი გაიტანა. იგი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მოიაზრება.

პარალელურად, „ტოტენჰემმა“ იტალიის იუნიორთა ნაკრების 16 წლის მეკარე მირკო რანიერი დაიმატა.

თავისუფალი აგენტები

სანტი ესკეროსა და ლილიან ტურამს „ბარსელონასთან“ კონტრაქტის ვადა ამოეწურათ. კატალონიური კლუბი მათ გახანგრძლივებას რომ არ აპირებს, არახალია. შესაბამისად, ეს ფეხბურთელები თავისუფალი აგენტები გახდნენ.

ესკერო „ბარსაში“ „ბილბაოდან“ სამი წლის წინ გადავიდა. ტურამმა კი „ნოუ კამპზე“ ორი სეზონი გაატარა. შეგახსენებთ, რომ ვეტერანი ფრანგი მცველი პსჟ-ში გადასვლასთან ახლოს იყო, მაგრამ გულის პრობლემები აღმოაჩნდა და ახლა მისი მომავალი გაურკვეველია.

ვაჟა ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალი ჩვენია

კრიშტიანუ რონალდუ

მართალია, ევრო 2008-ის დამაგვირგვინებელმა ეტაპმა კრიშტიანუ რონალდუსა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ თემა მიჩქმალა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, სალაპარაკო ბევრიც არაფერი ყოფილა. სულ ბოლოს ის გიამბეთ, რომ „რეალმა“ პორტუგალიელი ვარსკვლავის ყიდვაზე ხელი აიღო (80 მილიონი გირვანქა სად გვაქვსო), თავად ვარსკვლავმა კი თავის კლუბში დარეკა, დანიშნულ დღეს დანიშნულ ადგილას მორჩილად გეახლებითო. მას მერე დაახლოებით ერთი კვირა გავიდა და აი, მანჩესტერელთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა დუმილი დაარღვია.

ლეგენდარული სქოთის თქმით, რონალდუ კვლავაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშე იქნება და, რაც მთავარია, საქმე სულ უკეთ და უკეთ წავა. სერ ალექსის განცხადებით, 23 წლის პორტუგალიელი მომავალ სეზონშიც მისი გუგმის საკვანძო რგოლად მოგვევლინება.

„ჩვენ მშვენიერი გუნდი გვყავს — თქვა ფერგიუსონმა — თუმცა, წინ კიდევ დიდი პროგრესი გველის. ბევრი ახალგაზრდა პერიოდულად ჩინებულ ფეხბურთს თამაშობს, თუმცა ასაკის გამო სტაბილურობას ვერ ინარჩუნებს. მათ შედეგებება სჭირდებათ და ამ საქმეში ჩემპიონთა ლიგის მოგება მხოლოდ ხელს შეგვიწყობს. ისეთი მოთამაშეები, როგორებიც არიან ნანი, ანდერსონი, რუნი და რონალდუ, რთულ პერიოდებს აუცილებლად დაძლევენ და ჩვენი გუნდის ტოპ-ვარსკვლავები გახდებიან“.

ასეთი ოპტიმიზმის მიუხედავად, ინგლისური გაზეთები გვახსენებენ, რომ სერ ალექსი „ძე ცთომილ“ რონალდუს ჯერ პირისპირ არ შეხვედრია და ბოლო თვის განმავლობაში დატრიალებულ ამბებზე არ დალაპარაკებია. თუ ვინმემ არ იცის, შევახსენებთ, რომ რონალდუ მადრიდის „რეალში“ ცდილობდა გადასვლას, მაგრამ „იუნაიტედმა“ არ გაუშვა.

ახლა, პორტუგალიელ ვარსკვლავს მანჩესტერში 10 ივნისს ელიან, თუმცა შესაძლოა, ოთხი დღით დაგვიანების ნება მისცენ. მიზეზი: ის ევრო 2008-ზე იყო და დაიღალა. რონალდუს არ წაიყვანენ სამხრეთ აფრიკაში დაგეგმილ ტურნეზეც.

რონალდუს გარდა ფერგიუსონმა სატრანსფერო ამბებზეც ილაპარაკა.

„სანამ ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობდა, არანაირი ნაბიჯი არ გადაგვიდგამს. ახლა ნელ-ნელა შევუდგებით საქმეს, თუმცა ვფიქრობ, დიდი-დიდი, ერთი ფეხბურთელი შევიმატოთ“.

როგორც ცნობილია, ალექს ფერგიუსონი ევრო 2008-ს არ დასწრებია, ის სამხრეთ საფრანგეთში ისვენებდა.

„შვებულებაში გახლდით, მაგრამ ფინალი ფანტასტიკური იყო. ესპანეთი გაცილებით ძლიერი გახლდათ. როდესაც არსებობს გუნდი, რომელიც ასე თამაშობს, ეს მთლიანად ფეხბურთისთვის არის კარგი“.

პაპუნა კედია



ბარტონის კარიერის დაბო-ლოვება

მეორე პატიმრობას თითქოს გადარჩა... უფრო სწორად, ერთ ვადას უკვე იხდის, მაგრამ მეორე აღარ დაემატაო — საუბარი „ნიუკასლ იუნაიტედის“ სკანდალურად ცნობილ ფეხბურთელ ჯო ბარტონს ეხება.

ახლავე აგიხსნით, რაზეა ლაპარაკი: როგორც მოგახსენეთ, ბარტონი აჟამად საპატიმროშია, ექვსი თვით ზის. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ შარშან იანვარში, „ბოქსინგ დღეებზე“ („ბოქსინგ დეი“ მოგეხსებათ, რაც არის... უფრო სწორედ, რაც იყო: პრემიერლიგაში შობა-ახალწლის დღეებში რამდენიმე ტურს ერთმანეთს აბამდნენ; თამაშები ყოველდღე ტარდებოდა) ლივერპულის „მაკდონალდსში“ მამა-შვილი გალახა — ეს ერთი. მერე კი, „მანჩესტერ სიტიში“ ყოფნისას, ვარჯიშზე, ფრანგი თანაგუნდელის უსმან დაბოს დაუნდობელი ცემა გახლდათ — ამ დღეებში ბარტონს სწორედ ამის გამო ასამართლებდნენ, მაგრამ მან ჩადენილი აღიარა და მოსამართლემ შეიძლება დაინდოს.

თუმცა, ბარტონს სასჯელი მაინც არ აცდა — „ნიუკასლ იუნაიტედმა“ ინგლისური პრესის ზეწოლას ვერ გუძლო და ფეხბურთელი, რომელშიც თავის დროზე 5,8 მილიონი გირვანქა გადაიხადა (და რომელსაც კვირაში 45 ათას გირვანქას უხდიდა) უბრალოდ გააგდო.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ხულიგნის კარიერა დასრულდა! მშვიდობით, პრემიერლიგავ, ფულო, დიდებავ და ფეხბურთო, თუმცა, როგორც ამბობენ, ამან, შესაძლოა, მორიგი პატიმრობისგან იხსნას — არ არის გამორიცხული, რომ ეს აკმარონ.

ახლა კი, უფრო დაწვრილებით გავიხსენოთ ბარტონსა და დაბოს შორის მომხდარი ინციდენტი. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ეს მაშინდელი ამბავია, ორივე ფეხბურთელი „მანჩესტერ სიტიში“ რომ თამაშობდა, ხოლო გუნდს სტიუარტ პირსი წვრთნიდა. უფრო ზუსტად, ბარტონმა დაბო 2007 წლის 1 მაისს, ვარჯიშისას სცემა.

„სიტის“ ფეხბურთელები ერთმანეთში ბურთაობდნენ, როდესაც დაბომ ბარტონს სათამაშო სიტუაციაში ხელი ჰკრა. აი, ამაზე ჰქონდა 25 წლის მოთამაშეს უცნაური რეაქცია. ის მოტრიალდა და თანაგუნდელს გამეტებით ჩასცხო თავი თავში. დაბო დაეცა, გონება დაკარგა, მაგრამ გამხეცებული ბარტონი ამით ვერ დაკმაყოფილდა. ის წაქცეულს დაახტა და სამჯერ თუ ოთხჯერ დაუნდობლად ჩაარტყდა მუშტი. ბუნებრივია, თან ავინებდა.

23 წლის ბერძენი თავდამსხმელი გიორგოს სამარასი: „საფეხბურთო მოედნზე ასეთი დაუნდობელი ქცევა არასდროს მინახავს. იმას, რაც ბარტონმა გააკეთა, ვერასოდეს დავივიწყებ“.

ბარტონის ველური ქცევა „სიტის“ მწვრთნელმა სტიუარტ პირსმაც დაადასტურა.

ჯო ბარტონი წარმომობით მერსისაიდიდან, კერძოდ კი ჰიუტონიდან არის. „მანჩესტერ სიტიდან“ „ნიუკასლში“ ის ყოფილმა მწვრთნელმა სემ ალარდაისმა გადაიყვანა.

ხულიგანი ფეხბურთელის კარიერაში ცუდი ქცევის სხვა შემთხვევებიც არის ცნობილი. მაგალითად, იმავე „სიტში“ ყოფნის პერიოდში, საშობაო წვეულების დროს ახალგაზრდა თანაგუნდელს ჯეიმი ტენდის თვალზე ანთებული სიგარეტი მიადო, ხოლო ტაილანდში „ევერტონის“ ქომაგს დაესხა მუშტებით.

როგორც ჩანს, ამიერიდან ეს ყველაფერი მოედნიდან ქუჩაში გადაინაცვლებს.

პაპუნა კედია

პლატინიმ დომენეკი თქვა

უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი რაიმონ დომენეკის მხარდამჭერთა სიაში ჩაეწერა, რადგან მიაჩნია, რომ იგი უნდა დარჩეს და გუნდი ხელახლა შექმნას.

საფრანგეთის ნაკრები ევრო 2008-ზე ჯგუფში ჩარჩა და რაიმონ დომენეკის საკითხს ფეხბურთის ფედერაცია ხვალ განიხილავს.

ნაკრების თავკაცობის მთავარი კანდიდატი დიდიე დეშანია, ვისაც კრისტიან კარამბე, მარსელ დესაი და კრისტოფ დიუგარი უჭერენ მხარს.

სამაგიეროდ, რაიმონ დომენეკის ბანაკში არიან ფრანკ რიბერი, ვილი სანიოლი, სიდნეი გოვუ და ლასანა დიარა.

მიშელ პლატინის მიაჩნია, რომ ახლა მწვრთნელის შეცვლის დრო არაა და უმჯობესი იქნება შემადგენლობის გადახალისება.

„მე დომენეკის ადვოკატი არ ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ მისი დატოვება ჯობს. ამჟამად გუნდის გაახალგაზრდავება და მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაა საჭირო. რაიმონ დომენეკი. სხვებზე უკეთ იცნობს ფეხბურთელების შესაძლებლობებს. დეშანი და ბლანი, რა თქმა უნდა, ნიჭიერები არიან, თუმც ჯერ მათი დრო არ მოსულა.

საფრანგეთის ნაკრების იმიჯი შელახულია და ეს მწვრთნელმა ფედერაციასთან ერთად უნდა გამოასწოროს. გუნდი ქვეყანას ეკუთვნის და არა ერთ კაცს.

დომენეკმა ძველების (ტურამი, ანრი) და ახლების (ბენზემა, ნასრი) შეზავება სცადა, მაგრამ ექსპერიმენტმა არ გაამართლა“.

ლასანა დიარას აზრით, მწვრთნელი უნდა დარჩეს: „მან ახალგაზრდების ავანჩავანი კარგად იცის. გვერდში დავუდგებით და ერთად გავალთ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ერთ დღეში ჩვენი კლასი არ დაეცემოდა და შეცდომისგან კი დაზღვეული არავინაა. ახლა ცვლილება კარგი არ იქნება და რაიმონ დომენეკის დატოვების მომხრე ვარ“.

ვაჟა ხუციშვილი

არის კონტაქტი!

ბრაზილიელი ფეხბურთელის, რობინიოს აგენტის თქმით მისი კლიენტის შეძენა „ჩელსის“ სურს.

როგორც იტყობინებიან, „რეალის“ ვარსკვლავის ლონდონში გადაბარგება უფრო აქტუალური მას მერე გახდა, რაც „ჩელსის“ სათავეში ბრაზილიელი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი მივიდა — დიდი ფილი გუშინდლიდან შეუდგა „ლურჯი“ საქმის კეთებას.

თავად რობინიო კი აგორებულ ამბავზე ასეთ კომენტარს აკეთებს:

„ზოგადად, ის ამბავი, რომ ჩემი შეძენა „ჩელსის“ სურს, ახალი ნამდვილად არ არის, მაგრამ დღეს, როდესაც ლონდონელებს უკვე ლუიშ ფელიპე სკოლარი წვრთნის, კონტაქტები გახშირდა. ვფიქრობ, ამ კვირაში „ჩელსი“ „რეალს“ ოფიციალურ წერილსაც კი გაუგზავნის“.

პაპუნა ძედია

დეკუ ლონდონშია, ფრენკი სიცილიაზე



დეკუს ამბავი გადაწყდა: ლონდონის „ჩელსიმ“ პორტუგალიელ გამთამაშებელში „ბარსელონას“ 10, 49 მილიონი ევრო გადაუხადა — დეკუ ამიერიდან „სტემფორდბრიჯელია“.

და, როგორც ამბობენ, „ჩელსის“ სასარგებლოდ წყდება ფრენკ ლამპარდის ამბავიც. მოგეხსენებათ, მისი შეძენა მილანის „ინტერს“ სურს — „ინტერის“ ახალი თავკაცი ხომ ლამპარდის ყოფილი შეფი ყოზე მაურინიუა — მაგრამ, საქმე ჩაშლისკენ ყოფილა. მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, ტრანსფერის ჩაშლაზე საუბარი ვაჭრობის ერთ-ერთი ხერხი გამოდგეს და მეტი არაფერი.

ერთი სიტყვით, „ჩელსის“ სათავეში მისულმა ბრაზილიელმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ პირველი ტრანსფერი უკვე განახორციელა — ლონდონში დეკუ მიიყვანა.

დეკუმ და „ჩელსის“ აღმასრულებელმა შეფმა პიტერ კინიონმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. პორტუგალიელის ხელფასი კვირაში 92 ათასი გირვანქა იქნება.

რაც შეეხება ლამპარდის ამბავს, მასზე „ინტერის“ თავკაცმა ჟოზე მაურინიუმ, რომელსაც „ჩელსიმ“ ნახევარმცველის 8,6 მილიონ ევროდ მიყიდვაზე ერთხელ უკვე უარი უთხრა, ასე თქვა:

„ამ სეზონში? არა, მგონი, ლამპარდის ყიდვა ამ სეზონში არ გამოგვივა. რატომ? ცხადია, არა იმიტომ, რომ ჩვენ გადავიფიქრეთ. მიზეზი სხვაა: ფრენკის გაყიდვა „ჩელსის“ არ სურს. მაგრამ ეგ არაფერი. ერთი სეზონის შემდეგ მის შეძენას უფრო იოლად შევძლებ. ასი პროცენტით გახლავართ დარწმუნებული, რომ 2009-2010 წლების სეზონში ლამპარდი „ინტერის“ ფეხბურთელი იქნება“.

ინგლისური პრესა იტყობინება, რომ თავად 30 წლის ვარსკვლავი ამ ამბავზე არ ღელავს. ის სიცილიაზეა, სადაც მეუღლესთან და ბავშვებთან ერთად კვლავაც ისვენებს.

შეგახსენებთ, რომ ლამპარდისა და „ჩელსის“ კონტრაქტს მოქმედების ერთი წელიწადიღა დარჩა. ლონდონის კლუბი ნახევარმცველს ხელშეკრულების განახლებას სთავაზობს, ეს უკანასკნელი კი მოლაპარაკებებისგან თავს იკავებს. არც მისი აგენტისგან, სტივ კატნერისგან ისმის რაიმე.

სკოლარიმ კი „ჩელსის“ ხელმძღვანელებს განუცხადა, რომ სანამ რაიმეს გადაწყვეტენ, ლამპარდთან პირადად სურს ლაპარაკი. როგორც ამბობენ, ეს შეხვედრა შემდეგ ორშაბათს უნდა შედგეს.

და კიდევ ერთი ცნობა, რომელიც „ჩელსის“ ეხება, თუმცა ოფიციალურად ჯერ არ დადასტურებულა და ამდენად მის უტყუარობაზე ვერაფერს მოგახსენებთ: როგორც ამბობენ, ლონდონელი „ლურჯების“ მეპატრონე, რუსი ოლიგარქი რომან აბრამოვიჩი „ლივერპულს“ ფერნანდო ტორესის სანაცვლოდ 107 მილიონ ევროს სთავაზობს.

პაპუნა ძედია

დე როსის კონტრაქტი

დანიელე დე როსიმ „რომასთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე გაახანგრძლივა და საბოლოო წერტილი დაუსვა „გლადიატორთა“ რიგებიდან მის შესაძლო წასვლაზე მითქმა-მოთქმას.

24 წლის ნახევარმცველს, რომელმაც ევრო 2008-ის მეოთხედფინალში ესპანეთთან ანტონიო დი ნატალეს დარად პენალტი ვერ გაიტანა, ხელფასი უკვე გაეზარდა და ეტაპობრივად უფრო მეტადაც გაეზრდება.

დე როსიმ „რომას“ ღირსება პირველად 2001 წლის 10 ოქტომბერს დაიცვა. იგი ნელნელა გახდა „ჯალოროსის“ ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი წევრი და უკვე რა ხანია, ერთ-ერთ ლიდერად ნაკრებშიც მიიჩნევა.

რომაელთა კიდევ ერთი ნიჭიერი ნახევარმცველის, ალბერტო აკვილანის აგენტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, ჩემი კლიენტი კლუბში რჩება და „იუვენტუსმა“, სხვა მსურველებითურთ, დაივიწყოსო.

სამაგიეროდ, „სტადიო ოლიმპიკოდან“ გარბიან მცველი მატეო ფერარი და ნახევარმცველი მატეო ბრიგი, რომლებიც გუნდის ძირითად შემადგენლობაში არ მოიაზრებიან და ახალი გუნდის ძებნა უკვე დაწყებული აქვთ.

კოტი კანდელაკი

კოსტა რიკის კენტონი

გვატემალის 20-წლამდელთა ნაკრების თავკაცი როდრიგო კენტონი კოსტა რიკის ეროვნული გუნდის მწვრთნელად დანიშნეს. მან ერნან მედფორდი შეცვალა, რომელიც გასულ პარასკევს მოხსნეს. მედფორდის ხელში გუნდმა ზედიზედ 12 მატჩში ვერ მოიგო და ამიტომ გაათავისუფლეს. როდრიგო კენტონი კოსტა რიკას მსოფლიოს ჩემპიონატების (1990, 2002) შესარჩევ ციკლშიც წვრთნიდა.

ძენონის დღე ბოლონიაში

სერია A-ში აღზევებულმა „ბოლონიამ“ „სამპდორიას“ მცველი კრისტიან ძენონი იყიდა. ეს უკვე მესამე შენაძენია მარკო ბერნაჩის და სერჯიო ვოლპის შემდეგ. „ბოლონიას“ ელიტაში ადგილის შენარჩუნება სურს და შემადგენლობის გაძლიერებას ამად ეშურება. ძენონის, ვისაც „პისტოიეზეში“, „ატალანტასა“ და „იუვენტუსშიც“ უთამაშია, მედიას დღეს წარუდგენენ. 31 წლის მცველს ორჯერ ნაკრების მაისურაც მოურგია.

დე რიდერი ამოძვრა

ჩემპიონლიგაში ჩაქვეითებული „ბირმინგემის“ ნახევარმცველი, ჰოლანდიელი დანიელ დე რიდერი პრემიერლიგის „უიგანში“ გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. დე რიდერი „ბირმინგემმა“ შარშან ზაფხულს იყიდა, როცა გუნდს „უიგანის“ ამჟამინდელი თავკაცი სტივ ბრიუსი ხელმძღვანელობდა. მერე ბრიუსი ალექს მაკლიშმა შეცვალა და ნახევარმცველმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

ეტოო ტრეზეგეს უდრის

„ბარსელონას“ „იუვენტუსიდან“ დავიდ ტრეზეგეს გადაბირება სურს და საამისოდ ნაირ-ნაირ ხერხს ეძებს. „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, ესპანური კლუბი იატლიურს გაცვლას სთავაზობს — სამუელ ეტოო დავიდ ტრეზეგეში. ტურინელები ფრანგის გასხვისებას ჯერჯერობით უარობენ. არც ეტოოს და არც ტრეზეგეს გუნდის გამოცვლის სურვილი არ გამოუთქვამთ.

საუკეთესო უკრაინელი ბრაზილიელია

დონეცკის „შახტარის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ფერნანდინიუ უკრაინის ჩემპიონატის საუკეთესოდ დაასახელეს. გამოკითხვა ფეხბურთის პროფესიულმა ლიგამ ჩაატარა და მეორე ადგილზე ფორვარდი მარკ დევიჩი („მეტალისტი“) გავიდა, მესამეზე კი თავდამსხმელი ევგენი სელეზნიოვი („არსენალი“). წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული „შახტარის“ თავკაც მირჩა ლუჩესკუს ერგო.

უიფალუში ატლეტიკოში

ჩეხთა ნაკრების კაპიტანი ტომაშ უიფალუში მადრიდის „ატლეტიკოს“ სამწლიანი კონტრაქტით შეეკრა. მას „ფიორენტინასთან“ ხელშეკრულების ვადა ამოწურა და ესპანურ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. ბოლო 12 სეზონის განმავლობაში „ატლეტიკო“ წლეულს პირველად ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე და გუნდს დაცვის გაძლიერება სჭირდებოდა. პრიმერაში მადრიდელებმა 47 გოლი გაუშვეს. უიფალუშიმდე „ატლეტიკომ“ „აიაქსიდან“ ჯონი ჰეიტინგა შეიძინა.

არწივი მარტინში

„უელვას“ და პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი კარლუშ მარტინში ლისაბონის „ბენფიკამ“ იყიდა. 26 წლის ფეხბურთელმა „არწივებთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „სპორტინგის“ აღზრდილს სამშობლოში „კამპომაიორენსესა“ და „აკადემიკაშიც“ უთამაშია, „უელვაში“ კი შარშან გადავიდა და 32 მატჩში გუნდს ექვსი გოლით შეეწია. „ბენფიკა“ ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა და უეფას თასზე ითამაშებს.

კამარა ექვსი თვე დაისვენებს

ინგლისური „ფულემის“ სენეგალელი ფორვარდი დიომანსი კამარა დაახლოებით ექვსი თვე დაისვენებს. ეს ფორვარდი სენეგალისა და ლიბერიის ნაკრებთა მატჩში დაშავდა. მან მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა. 27 წლის თავდამსხმელს ამ კვირაში გაუკეთებენ ოპერაციას.

ვაცა ხუციშვილი

ნორვეგია

ტიპელიგა. XI ტური

ფრედრიკსტადი 2:1 ვოლერენგა

სტაბეკი	11	7	3	1	20:8	24
ფრედრიკსტადი	11	7	1	3	18:12	22
ბოდიო გლიმტი	11	5	3	3	12:11	18
ლინი	11	5	2	4	15:11	17
სტრომგოდსეტი	11	4	4	3	12:12	16
ბრანი	11	4	4	3	16:17	16
ვიკინგი	11	5	1	5	15:16	16
რუსენბორგი	11	4	3	4	16:12	15
ტრომსიო	10	4	3	3	10:7	15
ვოლერენგა	11	4	2	5	13:12	14
მიოლდე	11	2	5	4	12:14	11
ალესუნდი	11	3	1	7	16:23	10
ლილესტრიომი	11	2	3	6	11:18	9
ჰამ კამი	10	1	3	6	6:19	6

ისლანდია

I დივიზიონი. IX ტური

ბრეიდაბლიკი 2:2 კეფლავიკი

რეიკიავიკი 2:0 აკრანესი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. X ტური

ჰიკ — როვანიემი 3:2; ჰაკა — მარიეჰამნი 1:1
ინტერი — ტამპერე 2:2; კტპ — იარო 1:4
ვაასა — მიუპა 0:1; კუოპიო — ჰონკა 1:2

ინტერი	10	6	4	0	18:6	22
ლაჰტი	10	6	1	3	15:10	19
მიუპა	10	5	3	2	13:6	18
ჰიკ	10	4	5	1	19:8	17
ჰონკა	10	4	2	4	14:7	14
ვაასა	10	3	5	2	6:4	14
ტურკუ	10	4	2	4	13:12	14
ჰაკა	10	4	2	4	12:15	14
როვანიემი	10	3	4	3	14:15	13
მარიეჰამნი	10	3	3	4	11:13	12
იარო	10	3	3	4	10:17	12
ტამპერე	10	2	5	3	12:15	11
კუოპიო	10	1	3	6	7:17	6
კტპ	10	0	2	8	6:25	2

ამსანაგური მატჩები

ვაკერი 2:2 დინამო (კიევი)

მარიბორი 0:2 სტიაუა

გერმანიის ბუნდესლიგა 2008-2009

2008 წელი

I ტური, 15-16 აგვისტო
ბაიერნი — ჰამბურგი
შალკე — ჰანოვერი
ვოლფსბურგი — კიოლნი
ლევერკუზენი — დორტმუნდი
აინტრახტი — ჰერტა
კარლსრუე — ბოხუმი
კოტბუსი — ჰოფენჰაიმი
არმინია — ვერდერი
გლადბახი — შტუტგარტი

II ტური, 23 აგვისტო
ვერდერი — შალკე
ჰამბურგი — კარლსრუე
შტუტგარტი — ლევერკუზენი
ჰანოვერი — კოტბუსი
ჰერტა — არმინია
ბოხუმი — ვოლფსბურგი
დორტმუნდი — ბაიერნი
ჰოფენჰაიმი — გლადბახი
კიოლნი — აინტრახტი

III ტური, 30 აგვისტო
ბაიერნი — ჰერტა
შალკე — ბოხუმი
ვოლფსბურგი — აინტრახტი
შტუტგარტი — ჰანოვერი
ლევერკუზენი — ჰოფენჰაიმი
კარლსრუე — კიოლნი
კოტბუსი — დორტმუნდი
არმინია — ჰამბურგი
გლადბახი — ვერდერი

IV ტური, 13 სექტემბერი
ვერდერი — კოტბუსი
ჰამბურგი — ლევერკუზენი
ჰანოვერი — გლადბახი
აინტრახტი — კარლსრუე
ჰერტა — ვოლფსბურგი
ბოხუმი — არმინია
დორტმუნდი — შალკე
ჰოფენჰაიმი — შტუტგარტი
კიოლნი — ბაიერნი

V ტური, 20 სექტემბერი
ბაიერნი — ვერდერი
შალკე — აინტრახტი
ვოლფსბურგი — ჰამბურგი
შტუტგარტი — კარლსრუე
ლევერკუზენი — ჰანოვერი
კოტბუსი — ბოხუმი
არმინია — კიოლნი
გლადბახი — ჰერტა
ჰოფენჰაიმი — დორტმუნდი

VI ტური, 27 სექტემბერი
ვერდერი — ჰოფენჰაიმი
ჰამბურგი — გლადბახი
ჰანოვერი — ბაიერნი
აინტრახტი — არმინია
ჰერტა — კოტბუსი
კარლსრუე — ვოლფსბურგი
ბოხუმი — ლევერკუზენი
დორტმუნდი — შტუტგარტი
კიოლნი — შალკე

VII ტური, 4 ოქტომბერი
ბაიერნი — ბოხუმი
შალკე — ვოლფსბურგი
შტუტგარტი — ვერდერი
ლევერკუზენი — ჰერტა
დორტმუნდი — ჰანოვერი
კოტბუსი — ჰამბურგი
არმინია — კარლსრუე
გლადბახი — კიოლნი
ჰოფენჰაიმი — აინტრახტი

VIII ტური, 18 ოქტომბერი
ვერდერი — დორტმუნდი
ჰამბურგი — შალკე
ვოლფსბურგი — არმინია
ჰანოვერი — ჰოფენჰაიმი
აინტრახტი — ლევერკუზენი
ჰერტა — შტუტგარტი
კარლსრუე — ბაიერნი
ბოხუმი — გლადბახი
კიოლნი — კოტბუსი

IX ტური, 25 ოქტომბერი
ბაიერნი — ვოლფსბურგი
შალკე — არმინია
შტუტგარტი — ბოხუმი
ლევერკუზენი — კიოლნი
ჰანოვერი — ვერდერი
დორტმუნდი — ჰერტა
კოტბუსი — აინტრახტი
გლადბახი — კარლსრუე
ჰოფენჰაიმი — ჰამბურგი

X ტური, 28 ოქტომბერი
ვერდერი — ლევერკუზენი
ჰამბურგი — შტუტგარტი
ვოლფსბურგი — გლადბახი
აინტრახტი — ბაიერნი
ჰერტა — ჰანოვერი
კარლსრუე — შალკე
ბოხუმი — ჰოფენჰაიმი
არმინია — კოტბუსი
კიოლნი — დორტმუნდი

XI ტური, 1 ნოემბერი
ბაიერნი — არმინია
ვერდერი — ჰერტა
შტუტგარტი — კიოლნი
ლევერკუზენი — ვოლფსბურგი
ჰანოვერი — ჰამბურგი
დორტმუნდი — ბოხუმი
კოტბუსი — შალკე
გლადბახი — აინტრახტი
ჰოფენჰაიმი — კარლსრუე

XII ტური, 8 ნოემბერი
შალკე — ბაიერნი
ჰამბურგი — დორტმუნდი
ვოლფსბურგი — კოტბუსი
აინტრახტი — შტუტგარტი
ჰერტა — ჰოფენჰაიმი
კარლსრუე — ლევერკუზენი
ბოხუმი — ვერდერი
არმინია — გლადბახი
კიოლნი — ჰანოვერი

XIII ტური, 15 ნოემბერი
ვერდერი — კიოლნი
შტუტგარტი — არმინია
ლევერკუზენი — შალკე
ჰანოვერი — ბოხუმი
ჰერტა — ჰამბურგი
დორტმუნდი — აინტრახტი
კოტბუსი — კარლსრუე
გლადბახი — ბაიერნი
ჰოფენჰაიმი — ვოლფსბურგი

XIV ტური, 22 ნოემბერი
ბაიერნი — კოტბუსი
შალკე — გლადბახი
ჰამბურგი — ვერდერი
ვოლფსბურგი — შტუტგარტი
აინტრახტი — ჰანოვერი
კარლსრუე — დორტმუნდი
ბოხუმი — ჰერტა
არმინია — ლევერკუზენი
კიოლნი — ჰოფენჰაიმი

XV ტური, 29 ნოემბერი
ვერდერი — აინტრახტი
შტუტგარტი — შალკე
ლევერკუზენი — ბაიერნი
ჰანოვერი — კარლსრუე
ჰერტა — კიოლნი
ბოხუმი — ჰამბურგი
დორტმუნდი — ვოლფსბურგი
გლადბახი — კოტბუსი
ჰოფენჰაიმი — არმინია

XVI ტური, 6 დეკემბერი
ბაიერნი — ჰოფენჰაიმი
შალკე — ჰერტა
ვოლფსბურგი — ჰანოვერი
აინტრახტი — ბოხუმი
კარლსრუე — ვერდერი
კოტბუსი — შტუტგარტი
არმინია — დორტმუნდი
გლადბახი — ლევერკუზენი
კიოლნი — ჰამბურგი

XVII ტური, 13 დეკემბერი
ვერდერი — ვოლფსბურგი
ჰამბურგი — აინტრახტი
შტუტგარტი — ბაიერნი
ლევერკუზენი — კოტბუსი
ჰანოვერი — არმინია
ჰერტა — კარლსრუე
ბოხუმი — კიოლნი
დორტმუნდი — გლადბახი
ჰოფენჰაიმი — შალკე

2009 წელი

XVIII ტური, 31 იანვარი
ჰამბურგი — ბაიერნი
ჰანოვერი — შალკე
კიოლნი — ვოლფსბურგი
დორტმუნდი — ლევერკუზენი
ჰერტა — აინტრახტი
ბოხუმი — კარლსრუე
ჰოფენჰაიმი — კოტბუსი
ვერდერი — არმინია
შტუტგარტი — გლადბახი

XIX ტური, 7 თებერვალი
შალკე — ვერდერი
კარლსრუე — ჰამბურგი
ლევერკუზენი — შტუტგარტი
კოტბუსი — ჰანოვერი
არმინია — ჰერტა
ვოლფსბურგი — ბოხუმი
ბაიერნი — დორტმუნდი
გლადბახი — ჰოფენჰაიმი
აინტრახტი — კიოლნი

XX ტური, 14 თებერვალი
ჰერტა — ბაიერნი
ბოხუმი — შალკე
აინტრახტი — ვოლფსბურგი
ჰანოვერი — შტუტგარტი
ჰოფენჰაიმი — ლევერკუზენი
კიოლნი — კარლსრუე
დორტმუნდი — კოტბუსი
ჰამბურგი — არმინია
ვერდერი — გლადბახი

XXI ტური, 21 თებერვალი
კოტბუსი — ვერდერი
ლევერკუზენი — ჰამბურგი
გლადბახი — ჰანოვერი
კარლსრუე — აინტრახტი
ვოლფსბურგი — ჰერტა
არმინია — ბოხუმი
შალკე — დორტმუნდი
შტუტგარტი — ჰოფენჰაიმი
ბაიერნი — კიოლნი

XXII ტური, 28 თებერვალი
ვერდერი — ბაიერნი
აინტრახტი — შალკე
ჰამბურგი — ვოლფსბურგი
კარლსრუე — შტუტგარტი
ჰანოვერი — ლევერკუზენი
ბოხუმი — კოტბუსი
კიოლნი — არმინია
ჰერტა — გლადბახი
დორტმუნდი — ჰოფენჰაიმი

XXIII ტური, 7 მარტი
ჰოფენჰაიმი — ვერდერი
გლადბახი — ჰამბურგი
ბაიერნი — ჰანოვერი
არმინია — აინტრახტი
კოტბუსი — ჰერტა
ვოლფსბურგი — კარლსრუე
ლევერკუზენი — ბოხუმი
შტუტგარტი — დორტმუნდი
შალკე — კიოლნი

XXIV ტური, 14 მარტი
ბოხუმი — ბაიერნი
ვოლფსბურგი — შალკე
ვერდერი — შტუტგარტი
ჰერტა — ლევერკუზენი
ჰანოვერი — დორტმუნდი
ჰამბურგი — კოტბუსი
კარლსრუე — არმინია
კიოლნი — გლადბახი
აინტრახტი — ჰოფენჰაიმი

XXV ტური, 21 მარტი
დორტმუნდი — ვერდერი
შალკე — ჰამბურგი
არმინია — ვოლფსბურგი
ჰოფენჰაიმი — ჰანოვერი
ლევერკუზენი — აინტრახტი
შტუტგარტი — ჰერტა
ბაიერნი — კარლსრუე
გლადბახი — ბოხუმი
კოტბუსი — კიოლნი

XXVI ტური, 4 აპრილი
ვოლფსბურგი — ბაიერნი
არმინია — შალკე
ბოხუმი — შტუტგარტი
კიოლნი — ლევერკუზენი
ვერდერი — ჰანოვერი
ჰერტა — დორტმუნდი
აინტრახტი — კოტბუსი
კარლსრუე — გლადბახი
ჰამბურგი — ჰოფენჰაიმი

XXVII ტური, 10 აპრილი
ლევერკუზენი — ვერდერი
შტუტგარტი — ჰამბურგი
გლადბახი — ვოლფსბურგი
ბაიერნი — აინტრახტი
ჰანოვერი — ჰერტა
შალკე — კარლსრუე
ჰოფენჰაიმი — ბოხუმი
კოტბუსი — არმინია
დორტმუნდი — კიოლნი

XXVIII ტური, 18 აპრილი
არმინია — ბაიერნი
ჰერტა — ვერდერი
კიოლნი — შტუტგარტი
ვოლფსბურგი — ლევერკუზენი
ჰამბურგი — ჰანოვერი
ბოხუმი — დორტმუნდი
შალკე — კოტბუსი
აინტრახტი — გლადბახი
კარლსრუე — ჰოფენჰაიმი

XXIX ტური, 25 აპრილი
ბაიერნი — შალკე
დორტმუნდი — ჰამბურგი
კოტბუსი — ვოლფსბურგი
შტუტგარტი — აინტრახტი
ჰოფენჰაიმი — ჰერტა
ლევერკუზენი — კარლსრუე
ვერდერი — ბოხუმი
გლადბახი — არმინია
ჰანოვერი — კიოლნი

XXX ტური, 2 მაისი
კიოლნი — ვერდერი
არმინია — შტუტგარტი
შალკე — ლევერკუზენი
ბოხუმი — ჰანოვერი
ჰამბურგი — ჰერტა
აინტრახტი — დორტმუნდი
კარლსრუე — კოტბუსი
ბაიერნი — გლადბახი
ვოლფსბურგი — ჰოფენჰაიმი

XXXI ტური, 9 მაისი
კოტბუსი — ბაიერნი
გლადბახი — შალკე
ვერდერი — ჰამბურგი
შტუტგარტი — ვოლფსბურგი
ჰანოვერი — აინტრახტი
დორტმუნდი — კარლსრუე
ჰერტა — ბოხუმი
ლევერკუზენი — არმინია
ჰოფენჰაიმი — კიოლნი

XXXII ტური, 12 მაისი
აინტრახტი — ვერდერი
შალკე — შტუტგარტი
ბაიერნი — ლევერკუზენი
კარლსრუე — ჰანოვერი
კიოლნი — ჰერტა
ჰამბურგი — ბოხუმი
ვოლფსბურგი — დორტმუნდი
კოტბუსი — გლადბახი
არმინია — ჰოფენჰაიმი

XXXIII ტური, 16 მაისი
ჰოფენჰაიმი — ბაიერნი
ჰერტა — შალკე
ჰანოვერი — ვოლფსბურგი
ბოხუმი — აინტრახტი
ვერდერი — კარლსრუე
შტუტგარტი — კოტბუსი
დორტმუნდი — არმინია
ლევერკუზენი — გლადბახი
ჰამბურგი — კიოლნი

XXXIV ტური, 23 მაისი
ვოლფსბურგი — ვერდერი
აინტრახტი — ჰამბურგი
ბაიერნი — შტუტგარტი
კოტბუსი — ლევერკუზენი
არმინია — ჰანოვერი
კარლსრუე — ჰერტა
კიოლნი — ბოხუმი
გლადბახი — დორტმუნდი
შალკე — ჰოფენჰაიმი

სარბიელი: კრიკეტი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		2 ივლისი						
20:00	50	რუსენბორგი-ალესუნდი	1.35	4.00	7.60	1.00	1.14	2.62
		შვედეთი. ალსვენსკა						
		2 ივლისი						
21:00	11	გეფლე-კალმარი	3.00	3.40	2.15	1.59	1.25	1.31
21:00	12	ჰალმსტადი-ჰამარბი	2.00	3.20	2.40	1.23	1.09	1.37
21:00	13	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	2.15	3.10	3.20	1.26	1.28	1.57
22:00	14	იურგორდენი-ელფსბორგი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
		3 ივლისი						
21:00	15	მალმიო-ლიუნგსკილე	1.35	4.30	7.50	1.02	1.14	2.73
21:00	16	ორებრო-აიკ	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
21:00	17	ჰელსინგბორგი-გაის	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
		შვედეთი. სუპერეტა						
		2 ივლისი						
21:00	65	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
		ნორვეგია. თასი						
		2 ივლისი						
20:00	138	ბრინი-ლოვ ჰამი	1.65	3.70	4.70	1.14	1.22	2.07
20:00	139	ჰაუგესუნდი-სანდნესი	1.75	3.70	3.85	1.18	1.20	1.88
20:00	140	ბოდიო გლიმტი-ალტა	1.20	6.10	11.00	1.00	1.08	3.92
20:00	141	სტაბეკი-მანგლერუდი	1.10	11.00	20.00	1.00	1.04	7.09
20:00	142	მოსი-სტარტი	2.60	3.40	2.40	1.47	1.24	1.40
		ფინეთი. ვაიკაუსლიგა						
		2 ივლისი						
19:30	84	ტურკუ-ჰიკ	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
		ურუგვაი. კლაუსურა						
		2 ივლისი						
23:00	145	დანუბიო-რამპლა	2.40	3.20	2.50	1.37	1.22	1.40
23:00	146	დეფენსორი-პენიაროლი	3.20	3.20	2.00	1.60	1.23	1.23
23:00	147	ნასიონალი-რივერ პლეიტი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
		იაპონია. თასი						
		2 ივლისი						
14:00	134	კაშიმა-შიმიცუ	1.65	3.50	4.20	1.12	1.18	1.90
14:00	135	იჩიჰარა-ნაგოია	2.55	3.30	2.40	1.43	1.23	1.38
14:00	136	გამბა-იოკოჰამა ფმ	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
14:00	137	ტოკიო-ოიტა	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
		სამხრეთ ამერიკა. ლიბერტადორესის თასი						
		3 ივლისი						
04:50	130	ფლუმინენსე-ქუიტო	1.35	4.00	7.90	1.00	1.15	2.65

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10011	გეფლე-კალმარი	3.40	2.00	2.60	1.25	1.47	1.13
10012	ჰალმსტადი-ჰამარბი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10014	იურგორდენი-ელფსბორგი	2.80	2.00	3.05	1.16	1.45	1.20
10065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.65	2.30	6.80	1.00	1.32	1.71
10016	ორებრო-აიკ	3.60	2.00	2.40	1.28	1.44	1.09
10017	ჰელსინგბორგი-გაის	2.00	2.20	5.30	1.04	1.45	1.55

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11011	გეფლე-კალმარი	4.40	10.00	20.00	5.00	4.40	4.60	20.00	10.00	3.50
11012	ჰალმსტადი-ჰამარბი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11014	იურგორდენი-ელფსბორგი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.70	12.00	25.00	3.50	5.00	10.00	20.00	10.00	10.00
11016	ორებრო-აიკ	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11017	ჰელსინგბორგი-გაის	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15011	გეფლე-კალმარი	3.00	2.80	2.00
15012	ჰალმსტადი-ჰამარბი	3.00	2.80	2.00
15013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	3.00	2.80	2.00
15014	იურგორდენი-ელფსბორგი	3.00	2.80	2.00
15065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	3.00	2.80	2.00
15015	მალმიო-ლიუნგსკილე	3.00	2.80	2.00
15016	ორებრო-აიკ	3.00	2.80	2.00
15017	ჰელსინგბორგი-გაის	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16011	გეფლე-კალმარი	2.10	----	1.60
16012	ჰალმსტადი-ჰამარბი	1.70	----	1.95
16013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	1.52	----	2.20
16014	იურგორდენი-ელფსბორგი	1.70	----	1,95
16065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	1.62	----	2.05
16015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.10	----	5.50
16016	ორებრო-აიკ	2.20	----	1.50
16017	ჰელსინგბორგი-გაის	1.22	----	3.40

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17011	გეფლე-კალმარი	1.85	----	1.95
17012	ჰალმსტადი-ჰამარბი	1.85	----	1.95
17013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	1.85	----	1.95
17014	იურგორდენი-ელფსბორგი	1.85	----	1.95
17065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	1.85	----	1.95
17015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.85	----	1.95
17016	ორებრო-აიკ	1.85	----	1.95
17017	ჰელსინგბორგი-გაის	1.85	----	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შსონი წაგებულად ჩაითვლება)

14011	გეფლე-კალმარი	2.10	----	1.75
14012	ჰალმსტადი-ჰამარბი	1.85	----	1.95
14013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი	1.75	----	2.10
14014	იურგორდენი-ელფსბორგი	1.85	----	1.95
14065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი	1.80	----	2.00
14015	მალმიო-ლიუნგსკილე	1.20	----	2.60
14016	ორებრო-აიკ	2.10	----	1.75
14017	ჰელსინგბორგი-გაის	1.30	----	2.50

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.		მეტ.
12011	გეფლე-კალმარი 2,5	1.70	----	1.90
12012	ჰალმსტადი-ჰამარბი 2,5	1.70	----	1.90
12013	ნორჩიოპინგი-სუნდსვალი 2,5	1.70	----	1.90
12014	იურგორდენი-ელფსბორგი 2,5	1.70	----	1.90
12065	ენჩიოპინგი-დეგერფორსი 2,5	1.70	----	1.90
12015	მალმიო-ლიუნგსკილე 2,5	1.80	----	1.70
12016	ორებრო-აიკ 2,5	1.60	----	1.90
12017	ჰელსინგბორგი-გაის 2,5	1.70	----	1.80

შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე



შარშანწინ ანატოლი ბოისამ დაკოტა ტუღუშმა რუსთავში იხემპიონეს

მახვშეობის როში ტუღუში რუსთავში, ბოისა — ავიაციაში

ზაფხული სანაკრებო პერიოდია, საკლუბო სიახლეები იშვიათია, თუმც წელგამართული გუნდები ადრიანად იჭერენ თადარიგს და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ხანდახან ხმაურიანი ტრანსფერიც გამოერევა ხოლმე. სუპერლიგის ჩემპიონმა „ენერჯი-ინვესტმა", რომელიც სამომავალსეზონოდ კიდევ უფრო ძლიერი გუნდის შეკრებას ეშურება, ერთი სერიოზული შენაძენი გააკეთა.

გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული კოტე ტუღუში, რომელმაც „ავიამშენს" საქართველოს თასი და ქორქია-საკანდელაძის მემორიალი მოაგებინა, რუსთავულ გუნდში გადავიდა. ასე და ამგვარად, ტუღუშის მოგზაურობა „ენერჯი-ინვესტსა" და „ავიამშენში" გრძელდება. 2 წლის წინ, როცა კოტე ირანიდან ჩამოვიდა, სეზონი „ავიამშენში" ჩაამთავრა და ამ გუნდს ჩემპიონობა მოუპოვებინა. მომდევნო წელს კი ტუღუშმა უკვე რუსთავული კლუბის მაისურით დაიცვა ტიტული, ხოლო შემდეგი ანუ ბოლო სეზონი, ისევ „ავიატორებთან" გაატარა.

და აი, სუპერლიგის ბოლო წლების საუკეთესო მოთამაშე ისევ „ენერჯი-ინვესტში" გადადის. როგორც ამბობენ, რუსთაველები კვლავ აპირებენ ევროტურნირზე თამაშს და სავარაუდოა, რომ ტუღუშის კვალზე არაერთ ძლიერ კალათბურთელსაც უხმობენ თავისთან.

თავის მხრივ „ავიამშენმაც" შეივსო დანაკლისი. გასული სეზონის ჰლეი ოფამდე „ენერჯი-ინვესტში" ნათამაშები და ამ გუნდიდან მწვრთნელთან მომხდარი კონფლიქტის გამო წამოსული ანატოლი ბოისა მომავალ სეზონში „ავიატორებს" დაეხმარება. ბოისა სუპერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო დამცველად ითვლება და რომ არა პირადული ამბები, რუსთაველები მას არ დაშორდებოდნენ.

ბოისაც და ტუღუშიც ეროვნული ნაკრების წევრები არიან და ივლისის ბოლოს ახალი მწვრთნელის, იგორ კოკოშკოვის ხელქვეით მოუწევთ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება.

ირაკლი პერტაია

79-იანებმა პირი შეკრეს

დრაფტის ჩავლის შემდეგ ნბა-ს გუნდებს შემადგენლობების შევსება-განახლებაზე ფიქრის დრო დაუდგათ. დასვენებას ვინ აცდის, კლუბების საქმეთ-გამრიგენი მომავალ სეზონისთვის სამზადისში ათენ-აღამებენ.

„გოლდენ სტეიტ უორიორზს" დედაბოძი გამოეცალა. ამ გუნდის ლიდერ ბაირონ დევისს „მეომრებთან" ექვსწლიანი კონტრაქტი აკავშირებდა მეექვსე სეზონის გადახედვის უფლებით. მანაც ისარგებლა ამ უფლებით და უარი თქვა „გოლდენ სტეიტში" დარჩენაზე, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ სეზონში კლუბისგან 17,8 მილიონი ერგებოდა. დევისს ალბათ უკვე აღარ აინტერესებს ფული, ის უკვე 29 წლისაა და ნბა-ში გატარებულ 9 სეზონში ვინ მოთვლის, რამდენი ათეული მილიონი დოლარი მოიხვეჭა. ახლა ამ ვარსკვლავს პლეი ოფში სერიოზულად გაბრძოლება და ჩემპიონობასთან შეთამაშება თუ დაუკმაყოფილებს სპორტულ მადას, თანაც ხმები დაირხა, „დეტროიტს" სურს და მის სანაცვლოდ ოდნავ უფრო ასაკოვანი ჩონსი ბილაფსის გაღებაზეც თანახმაა. ჯერ არავინ იცის, გადავა თუ არა დევისი „დეტროიტში", მანამდე კი არაერთი გუნდისგან მიიღო შეთავაზება, მათ შორის, უხეირო „კლიპერსისგანაც", ვისაც თავის მხრივ დევისის კბილა ლიდერი ელტონ ბრენდი გაექცა.

ბრენდიც ზუსტად დევისივით მოიქცა. „კლიპერსში" ჯახირით თავგაბეზრებულმა ბოლო სეზონის წინ გაუწყვიტა კონტრაქტი თავის გუნდს. „კლიპერსისთვის" ცუდია ისიც, რომ მან მეორე 20-ქულიანი ვარსკვლავი, კორი მაგეტიც დაკარგა. ჩანს, მასაც მობეზრდა უმოტივაციო გუნდში ყოფნა. ბრენდიც და მაგეტიც 1979-წლიანები არიან და დევისის დარად 9 სეზონი აქვთ ზურგსუკან. ბრენდს ამ წლებში საშუალოდ 20,3 ქულა და 10,2 მოხსნა აქვს ნახვეჭი, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მხოლოდ ერთადერთხელ ითამაშა პლეი ოფში. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ მან უარი თქვა 2003 წელს გაფორმებულ 6-წლიანი კონტრაქტის ბოლო სეზონზე და მასთან 16,4 მილიონზე. „კლიპერსის" ლიდერს ტრავმის გამო თითქმის სრულად გაუცდა 2007-08 რეგულარული ჩემპიონატი და მის არყოფნაში გუნდის გაძღოლა კორი მაგეტმა ითავა, ვინც თავისი საშუალო მონაგარი 22,1 ქულამდე ასწია. შესაძლოა, ამ ორმა ერთმანეთთან შეთანხმებით მიაგორა ქვა „კლიპერსს". ისინი ხომ დიუკის ურივერსიტეტში ერთად გახდნენ სტუდენტური ლიგის ჩემპიონები და ნბა-შიც კარგი მეგობრობა აქვთ.

„ვაშინგტონ ვიზარდსი" კი ალბათ გადაურჩება დაშლას. გუნდი აპირებდა ვეტერანი ვარსკვლავის, 1976-წლიანი ანთაუნ ჯემისონის გაშვებას, მიუხედავად იმისა, რომ ის პიკზე იყო და უკანასკნელ სეზონში საშუალოდ 21,4 ქულასა და 10,2 მოხსნას იხვეჭდა. ასეთი კაცი, რაღა თქმა უნდა, ძალიან სჭირდებოდა გუნდს, მაგრამ რომ არა ჯილბერტ არენასი, ჯემისონს ალბათ მაინც გაუცვლიდნენ სხვა გუნდს რომელიმე უფრო ახალგაზრდა მოთამაშეში, სავარაუდოდ, უფრო ნაკლებ სასარგებლოში, ასაკის კომპენსაციის გამო. მაგრამ ჯემისონი დაიცვა „ვიზარდსის" ლიდერმა არენასმა, თუ ამ კაცს შეელევით, მაშინ ჩემი იმედიც ნულარ გექნებათო. გუშინწინ დედაქალაქურმა კლუბმა 4 წლით და 30 მილიონად დაიტოვა ჯემისონი



ბაირონ დევისი „გოლდენ სტეიტიდან" მიდის, ანთაუნ ჯემისონი კი „ვაშინგტონში" რჩება

პლეი ოფის ფინალი კი წააგო, მაგრამ, როგორც ჩანს, „ლეიკერსი" მაინც მოგებულის ფსიქოლოგიით მოქმედებს და შემადგენლობის გადახალისებას არ აპირებს. ლოსანჯელესურმა კლუბმა დარჩენა შესთავაზა ორ სათადარიგოს — სლოვენიელ საშა ვუიჩიჩსა და რონი ტურიაფს.

ირაკლი ფირაზვილი

ცურვა

იანკები აუზიდან რეკორდებს ეზიდებიან

ამერიკის ჩემპიონატი ჯერ მხოლოდ ორი დღის დაწყებულია და იანკები უკვე ოთხი მსოფლიო რეკორდით დაიტრაბახებენ. 29 ივნისს მაიკლ ფელპსმა და კეტი ჰოფმა შესაბამისად კაცთა და ქალთა 400 მეტრ კომპლექსურ ცურვაში განაახლეს მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო შედეგები. 30 ივნისს კი 100 მეტრ გულაღმა ცურვაში მთლად ერთდროულად არა, მაგრამ ხუთწუთიანი ინტერვალით ორი რეკორდი გამოცხვა.

ამ დისციპლინაში გუშინწინ წინასწარი გაცურვები გაიმართა და რჩეული 16 გულაღმა მოცურავე გოგონა ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ ამერიკულ საცურაო აუზში ისეთი სიმჭიდროვეა და ოლიმპიურ გუნდში მოსახვედრად იმდენი კარგი სპორტსმენი იკლავს თავს, რომ ისინი ერთმანეთთან პაექრობაში იზრდებიან როგორც სპორტსმენები და საკუთარ შედეგებსაც რეკორდების დონეზე სწევენ.

ერთ-ერთ საკვალიფიკაციო გაცურვაში ჰეილი მაკგრეგორმა გულაღმა სტილით 100 მეტრი 59,15 წამში გაადგაფუნა და რეკორდი მოუხსნა თანამემამულე ნატალი კულინს. კულინი ცოტა ასაკში კია, 25 წლისა მოყრილა და ვინ იცის, პეკინის შემდეგ საბოლოოდაც ამოვიდეს აუზიდან, მაგრამ ის ჯერ კიდევ გადასარევ ფორმაშია და ეს იქვე დაამტკიცა, როცა მაკგრეგორს ისევ ჩამოართვა რეკორდი კვალიფიკანტთა შემდეგი რვეულის გაცურვაში. კულინმა 59,03-წამიანი სუპერშედეგით დაიბრუნა „თავისი" მსოფლიო რეკორდი და მაკგრეგორს ათქმევინა, ეგ ისევ საუკეთესოა იმ ქალთა შორის, ვინც დღეს მსოფლიოში გულაღმა სტილით დაცურავსო.

შემდეგ გაიმართა ნახევარფინალიც და ორივე გოგონა — მოქმედი და 5-წუთიანი რეკორდსმენი — მოხვდა 8-ქალიან ფინალში, სადაც ქვეყნის ჩემპიონი და პეკინის ორი საგზურის მფლობელები გამოვლინდებიან.

30 ივნისს ბევრი იცურავა ამერიკის დიდმა იმედმა მაიკლ ფელპსმაც, თუმც მას ჯერ მხოლოდ საკვალიფიკაციოების ცურვა უწევს. თანაც რაკი 1972 წელს მარკ სპიცის მიერ მოპოვებულ 7 ოქროს დევნა გადაუწყვეტია, მრავალ სახეობაში გამოსვლა უხდება, ფელპსმა თავი არ გადაიღალა და ახალი რეკორდისკენ არ გაუწევია, რაც ისედაც არ აკლია.

ვანო კოგბიაზვილი

ნატალი კულინი

კონტადორის ფავორიტი ევანსია

ალბერტო კონტადორი

„ტურ დე ფრანსის“ მოქმედი ჩემპიონი, ესპანელი ალბერტო კონტადორი წლეულს ტიტულის დაცვას რომ ვერ მოახერხებს, ძველი ამბავია. კონტადორის გუნდი „ასტანა“ შარშანდელი დოპინგცოდვების გამო „ტურზე არ დაუშვეს და სეზონის მთავარი რბოლის გარეშე დარჩენილმა ესპანელმა, „ჯერ დიტალია“ ხომ მოიგო და ახლა კი, რადგანაც უსაქმრდ არის, პროგნოზების კეთებას მიჰყო ხელი.

„ჩემი ფავორიტი კედელ ევანსია. ის ძალიან სოლიდური მრბოლია და ეფექრობ, კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს“ — განაცხადა კონტადორმა 31 წლის ავსტრალიელზე, ვინც შარშანდელ „ტურზე“ მეორე იყო.

ალბერტოს აზრით, ევანსის შემდეგ ყველაზე მაღალი შანსები ესპანელ ალეხანდრო ვალვერდეს და რუს დენის მენშოვს აქვთ. ვალვერდემ წლეულს „კრიტერიუმ დოფინე ლიბერე“, „ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის“ ერთდღიანი კლასიკური რბოლა და ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო, ხოლო მენშოვი ესპანური „ვუელტას“ ორგზის გამარჯვებულია და პოსტარმსტრონგულ ეპოქაში მუდმივად ფავორიტთა შორის მოიაზრება.

„ტურ დე ფრანსი“ უდიდესი და უმნიშვნელოვანესი რბოლაა და მასში მონაწილეობას რომ ვერ ვიღებ, ეს ჩემთვის კატასტროფის ტოლფასია“ — დანანებით თქვა კონტადორმა, ვისაც ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, სეზონის ბოლოსთვის რომელ შეჯიბრზე გააკეთოს აქცენტი, მშობლიურ „ვუელტაზე“, თუ ოლიმპიურ თამაშებზე.



აღარც ტიტული, აღარც ფული ფლოიდ ლენდისის ორწლიანი საგა მარცხით დასრულდა

ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩანს, დასრულდა ფლოიდ ლენდისის თითქმის ორწლიანი საგა და დასრულდა ლენდისის დამარცხებით.

ამერიკელმა მრბოლმა 2006 წელს ბრწყინვალე სტილში მოიგო „ტურ დე ფრანსი“, მაგრამ გამარჯვებით ორიოდე დღე თუ დატკბა — თითქმის რბოლის დასრულებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლენდისის სისხლში ტესტოსტერონის მომატებული რაოდენობა აღმოჩნდა და ამერიკელის წვალება დაიწყო.

სად არ იჩივლა და ვიღას არ მიმართა ლენდისმა თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. შარშან ის ამერიკის შეერთებული შტატების ანტისადოპინგო სააგენტომაც გაამტყუნა და შესაბამისად, „ტურ დე ფრანსის“ ორგანიზატორებმაც ოფიციალურად ჩამოართვეს ჩემპიონის წოდება და გამარჯვებულად მეორე ადგილზე გასული ესპანელი ოსკარ პერეირო სიო გამოაცხადეს.

ამის შემდეგ ლენდისმა სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოს (CAS) მიმართა და აი, გუშინწინ საღამოს CAS-ის სამმა წარმომადგენელმა გამოიტანა განაჩენი, რომლის ძალითაც ლენდისმა რეაბილიტაციის ყოველგვარი შანსი დაკარგა. CAS-ის დასკვნის მიხედვით, ამერიკელი მრბოლი 2006 წელს მართლა იღებდა დოპინგს და ახლა ლენდისი, სხვა ყველაფერთან ერთად, 100 ათას დოლარსაც დაკარგავს, რომელიც ამერიკის ანტისადოპინგო სააგენტოს ანგარიშზე უნდა გადარიცხოს.

ტურამდე ეორკვნული საკითხები გაირკვა

სეზონის უმთავრესი რბოლის „ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ტრადიციულად, ეროვნული ჩემპიონატები იმართება ხოლმე და გამონაკლისი არც წლეულს ყოფილა — გასულ უმეებზე ველოქარავნის უაღრესად ჭრელი შემადგენლობა ეროვნული ნიშნით დაიყო და ყველამ თავის ქვეყანას მიაშურა.

ჩვენც ორიოდე სიტყვით ვთქვათ მოწინავე ველოქვეყნების შიდა ჩემპიონატების შესახებ და ესპანეთით დავიწყოთ, სადაც ყველას მოახლოებული „ტურის“ ერთ-ერთმა უმთავრესმა ფავორიტმა ალეხანდრო ვალვერდემ აჯობა.

აქვე გეტყვით, რომ ეროვნული ჩემპიონატები ინდივიდუალურ და ჯგუფურ რბოლებში ტარდება და აქ ყურადღებას, მხოლოდ ჯგუფურ რბოლებზე გავამახვილებთ.

ვალვერდე ოსკარ სევილიასთან ერთად გაექცა პელოტონს, ამ დუეტმა უახლოესი მდევრები წუთზე მეტით ჩამოიტოვა და ფინიშზე კი ვალვერდე სევილიელზე უფრო სწრაფი აღმოჩნდა.

იტალიის ჩემპიონატში, სულაც ჯგუფური ფინიში შედგა და ამ ჯგროში ყველაზე სხარტი ფილიპო სიმონი აღმოჩნდა, რომელმაც სულ მცირედით მოუგო ჯოვანი ვისკონტის, ფილიპო როზატის და დავიდ რებელინს.

ჯგუფური ფინიშით დასრულდა ბელგიის ჩემპონატიც, სადაც ბოლო მეტრებზე ყველაზე მეტი ძალა იურგენ როელანდტსს აღმოაჩენდა. მხოლოდ მეხუთე იყო ტომ ბოონენი, რომელიც, როგორც კოკაინის მოყვარული, „ტურ დე ფრანსიდან“ მოკვეთეს და მან ველარც მშობლიურ ჩემპიონატში იხეირა.

ჰოლანდიაში ყველას ლარს ბოომმა აჯობა, ვისაც 6 წამით ჩამორჩა კოოს მოერჰუნტი. ძირითადმა ჯგუფმა კი გამარჯვებულთან 31 წამი წააგო.

შვეიცარიაში პელოტონს ხუთნი გაექცნენ — მარკუს ზბერგი, მარტინ ელმიგერი, მატიას ფრანკი, რუბენს ბერტოგლიატი და სილვერ აკერმანი. შემდეგ ამ ხუთეულიდან ზბერგი და ელმიგერი დაწინაურდნენ და ფინიშზე კი ზბერგი უფრო სწრაფი აღმოჩნდა.

საფრანგეთის ჩემპიონი ნიკოლა ვოგონდი გახდა, რომელმაც უახლოეს მდევარს ნახევარ წუთზე მეტი მოუგო, გერმანიაში ფაბიან ვეგმანმა საფინიშო ბრძოლაში აჯობა ერიკ ცაბელს, გერალდ გიოლეკსა და შტეფან შუმახერს, ხოლო რუსეთში საუკეთესო სერგეი ივანოვი იყო.

ერთი ეტაპის კოფიდისი

სილვენ შავანელი

შვიდი ფრანგი, ერთი კოლუმბიელი და ერთიც ბელგიელი — ასეთია ფრანგული „კოფიდისის“ ეროვნული სახე წლევანდელ „ტურზე“.

„კოფიდისის“ ლიდერი 28 წლის ფრანგი სილვენ შავანელი იქნება, რომელიც წლეულს საკმაოდ სტაბილურად გამოდის და საერთო ჩათვლაში გამარჯვებაზე რა მოგახსენოთ და ერთი ეტაპის მოგებას ნამდვილად შეეცდება.

თუ ასე მოხდა, ანუ შავანელმა, ან გუნდის სხვა რომელიმე მრბოლმა ეტაპის მოგება მოახერხა, „კოფიდისის“ ამოცანა შესრულებული იქნება.

შავანელს კი გვერდს თანამემამულენი — სტეფან აუჟე, ფლორენ ბრარდი, ერვე დუკლოს-ლასალი, სამუელ დუმოლინი, დავიდ მონკუ, ამაელ მოინარი, კოლუმბიელი ლეონარდო დუკუ და ბელგიელი მაქსიმ მონფორტი დაუმშვენებენ.

რომანი საფრანგეთში გაგრძელდება

რომან კროიციგერი

22 წლის ჩეხი რომან კროიციგერი თავის სადებიუტო „ტურ დე ფრანსზე“ იტალიური „ლიქუიგასის“ ლიდერი იქნება და საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლისთვის განკუთვნილი თეთრი მაისურას მოპოვებას შეეცდება.

დიდ ველოტურებზე კროიციგერი შარშან გამოჩნდა და ესპანური „ვუელტა“ 21-ე ადგილზე დასრულა. მას შემდეგ ახალგაზრდა ჩეხმა ძალიან მოუმატა და აგერ, ახლახან დასრულებული „შვეიცარიის ტური“ ბრწყინვალე სტილში მოიგო.

„ლიქუიგასს“ სულ უკანასკნელ შემენტში გამოაკლდა თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი დანიელ ბენატი და შედეგად, ვეტერან ესპანელ მთიელს, მანუელ ბელტრანს თუ არ ჩავთვლით, სტეფანო ძანატას გუნდი „ტურზე“ ფრიად ახალგაზრდული შემადგენლობით მიდის.

ბენატის მაგივრობას სპრინტერულ ეტაპებზე ფრანჩესკო ჩიჩი, მანუელ ქვინზატო და მურილიო ფიშერი გასწევენ, ხოლო მთებში კროიციგერს ბელტრანის გარდა კიდევ ერთი ახალგაზრდა, იტალიელი ვინჩენცო ნიბალი, ფილიპო როზატო, ბელგიელი ფრედერიკ ვილემსი და ბელარუსი ალექსანდრ კუჩინსკი ამოუგებიან გვერდით.

ფრანგები და ერთი ბელგიელი

„კოფიდისის“ არ იყოს, მეორე ფრანგული გუნდის, „ფრანსაიზ დე ჟუს“ ამოცანაც ერთი ეტაპის მოგებაა. შარშან ეს ამოცანა გუნდმა ბრწყინვალედ შეასრულა, როდესაც მე-18 ეტაპზე სანდი კასარმა იმარჯვა. სწორედ ეს ფრანგი და აგრეთვე ბელგიელი ფილიპ ჟილბერი იქნებიან „ფრანსაიზ და ჟუს“ ლიდერები წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“.

აღსანიშნავია, რომ ჟილბერი გუნდის ერთადერთი უცხოელია, ანუ კასარის გარდა განაცხადში კიდევ შვიდი ფრანგი ირიცხება — სებასტიენ შავანელი, არნო ჟერარი, ლილიან ჟეგუ, ჟოან ლე ბულანჟე, ჟერემი როი, რემი დი გრეგორიო და ბენუა ვოგრენარდი.

უიმბლდონი 2008. ბალახი. 23 ივნისი - 6 ივლისი. საპრიზო 14 883 120 $


ვინუს უილიამსი

ელენა დემენტიევა

სერენა უილიამსი

ჟი ჟენგი

ქალები

მეოთხედფინალი

ჟი ჟენგი (ჩინეთი) — ნიკოლ ვაიდიშოვა (18, ჩეხეთი) 6:2 5:7 6:4; სერენა უილიამსი (6, აშშ) — აგნეშკა რადვანსკა (14, პოლონეთი) 6:4 6:0; ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) — ნადია პეტროვა (21, რუსეთი) 6:1 6:7 6:3; ვინუს უილიამსი (7, აშშ) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:4 6:3

ვისაც გჯერათ, ნუ დაიჯერებთ
შავი დები არავის გაახარებენ

მხოლოდ ფორმალობაღა დარჩა მორიგი შიდაუილიამსური ფინალის გაფორმებამდე — ეს უკვე მეშვიდედ მოხდება, როცა შავდები სასლემო ტიტულისთვის ერთმანეთის პირისპირ დადგებიან. და ალბათ არ მოიძებნება ადამიანი დედამიწის ზურგზე, რომელიც არ დაგვეთანხმება, რომ ეს ფინალი მართლაც გარდაუვალია. საქმე მხოლოდ უილიამსების მიერ აკრეფილ გიჟურ სათამაშო ფორმაში როდია — უფრო მეტად მათ მომავალ მეტოქეებზეა საუბარი, რომლებმაც დიდი შანსია, ბრძოლის მაგვარიც კი ვერ გაუწიონ შავდებს.

მეორეს მხრივ კი ვინუსს და სერენას ვერც აქამდე შეჰბედა ვინმემ ვერაფერი და ორივე ნახევარფინალამდე ისე მივიდა, რომ სეტიც კი არ წაუგიათ.

გუშინ თავიდან ვინუსი გავიდა კორტზე, რომელსაც ტამარინ ტანასუგარნი დაუდგა პირისპირ. 31 წლის ტაილანდელმა გააკეთა ყველაფერი რაც შეეძლო და ამერიკელს მაქსიმალურად გაურთულა ცხოვრება, მაგრამ ეს იმისთვისაც არ გამოდგა საკმარისი, რომ უფროსი უილიამსი ოდნავ მაინც ანერვიულებულიყო.

ორივე სეტი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს — ვინუსი დასაწყისშივე აკეთებდა ბრეიკს და ამ უპირატესობას ბოლომდე ინარჩუნებდა. ტანასუგარნი კი გამალებით ცდილობდა მეტოქის დაწევას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. არადა, ტაილანდელს ამის არაერთი შანსი ჰქონდა, რადგანაც აქა-იქ ბოლომდე ბრძოლისა და რამდენიმე გამართული კომბინაციის ხარჯზე შეძლო ბრეიკ-პოინტების მოპოვება. აზიელს განსაკუთრებით კარგად საქმე პირველ სეტში ჰქონდა, როცა ერთ გეიმში ერთბაშად ოთხჯერ შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ვინუსი თავისმა უძლიერსმა მოწოდებამ იხსნა.

„არა უშავს, უკვე დიდი გოგო ვარ და ვიცი ასეთ მომენტებში რისი გაკეთებაა საჭირო. ცოტა კი ვიწვალე, მაგრამ მთავარია, რომ ჩემი მაინც გავიტანე“ — ასეთი კომენტარი გააკეთა უფროსმა შავდამ პირველი სეტის შესახებ.

მეორეში კი ვეტერან ტაილანდელს დაღლაც დაეტყო და კორტზე ძველებურად შლეგიანივით სირბილსაც მოეშვა, რამაც ვინუსს საქმე გაცილებით გაუადვილა — შედეგად 6:3 და ნახევარფინალის საგზური.

აქ უფროსი შავდა ელენა დემენტიევას შეხვდება, რომელიც გუშინ თავისნაირად არამდგრადი ფსიქოლოგიის მქონე თანამემამულე ნადია პეტროვას ხვდებოდა. აი, დრამები აქ ვნახეთ, რადგანაც უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. თავიდან უკეთესად დემენტიევამ დაიწყო და პირველ სათამაშო საათში პეტროვას ხელის განძრევის საშუალებაც არ მისცა. ელენამ ჯერ პირველ სეტში გადაურბინა თანამემამულეს და მეორეშიც უდიდესი უპირატესობა შეიქმნა — 5:1. აქ თითქოს ყველაფერი უნდა მორჩენილიყო, მაგრამ ამ მომენტში დემენტიევამ რატომღაც ნერვიულობა დაიწყო და შეცდომათა კორიანტელი დააყენა, რის გამოც პეტროვამ ზედიზედ ხუთი გეიმის აღება შეძლო და უკვე ის დაწინაურდა. საქმე მაინც ტაიბრეიკამდე მივიდა და აქ ისევ ელენას უპირატესობა გამოიკვეთა — მას ორი მატჩ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ ამის განიავებაც მოახერხა და პეტროვამაც სეტებში ანგარიში გაათანაბრა.

ასეთი მძიმე დარტყმის შემდეგ თითქოს მატჩი პეტროვას სასარგებლოდ უნდა შეტრიალებულიყო, მაგრამ აქ უკვე მას დაეწყო ხელების კანკალი, დემენტიევა ისევ დაწინაურდა — 4:0 და ეს შანსი ხელიდან უკვე აღარ გაუშვია.

მაგრამ აქ მეორეა საკითხავი — გჯერათ ეხლა რომ ასეთი ფსიქოლოგიის მქონე მეჩოგნე ვინუსს სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს? ჩვენ არა და თუ ვინმეს სჯერა, მაშინ ნეტარ არიან მორწმუნენი.

გაცილებით ადვილად იხეირა სერენამ, რომელსაც აგნეშკა რადვანსკამ მხოლოდ ერთი სეტი გაუძლო. აქ პოლონელმა ერთხელ დააბრეიკა კიდეც ამერიკელი და კარგა ხანს თანაბრადაც ეომა, მაგრამ საბაგიეროდ, თავისი მოწოდება ორჯერ დათმო და პარტია წაგო. მეორეში კი კორტზე მხოლოდ ერთი მეოჩგნე იდგა, რადგანაც რადვანსკა სპარინგ-პარტნიორის მოვალეობასაც კი ვერ ასრულებდა და მეტოქის ნახევარზე ბურთის გადაგდებასაც ძლივს ახერხებდა.

სერენას შემდეგი მეტოქე ჟი ჟენგი იქნება — ამ ჩინელმა უკვე გაამწარა ანა ივანოვიჩი და გუშინ მას თითქოსდა კარგ ფორმაში მყოფი ნიკოლ ვაიდიშოვაც მიაყოლა. ჩინელმა პირწმინდად დაჩაგრა ახალგაზრდა ჩეხი, რომელმაც მხოლოდ მეორე სეტში შეძლო ვერცხლისწყალივით მძრავი ჩინელის შეტევების გამკლავება. თუმც ეს საკმარისი არ გამოდგა და ჟენგმაც კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენა — მაგრამ მხოლოდ ერთეულთა შორის, თორემ წყვილებში უილმბლდონზე ორი წლის წინაც უმარჯვია.

თუმც საეჭვოა, ჟენგმა ამაზე მეტს უწიოს — რამაც აქამდე გაჭრა, ნაკლებად, სერენასთანაც გაუვიდეს, რომელიც თავისი ზეაგრესიული ჩოგბურთით სავარაუდოდ კორტში ჩამარხავს მინიატურულ აზიელს.

კახა ლომაშვილი

პატარა ტურნირების ქართველები


მაკა ჩახნაშვილი

გახურებული უიმბლდონის დროს შეიძლება უხერხულიც კი იყოს, მაგრამ ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირების შესახებაც უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა, რადგანაც ამ შეჯიბრებებში ქართველი ჩოგბურთელებიც მონაწილეობენ.

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაშვილმა იტალიური კუნეოს თიხნარზე მიმდინარე, საკმაოდ წარმომადგენლობითი, 100-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის ორი წრე გაიარა — რეიტინგის 862-ე ნომერს, 17 წლის მასპინძელ ვივიენ ვიერინის 6:4 6:2 მოუგო, კლასიფიკაციის 607-ე პოზიციაზე მყოფი სლოვენიელი ტინა ობერეცი კი 6:3 6:3 დაამარცხა — მაგრამ შემდეგ 6:1 4:6 3:6 წააგო რეიტინგის 273-ე ნომერთან, სერბ თეოდორა მირჩიჩთან და ძირითად ბადეს ვერ უწია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოსტონის მაგარსაფარზე კი 50-ათასიანი შეჯიბრია, რომლის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში დამარცხდნენ სალომე დევიძე და სოფო მელიქიშვილი. დევიძეს 7:6 6:3 მოუგო ჰოლანდიელმა ბო ვერჰულდსდინკმა, ვისაც რეიტინგში 589-ე პოზიცია უკავია, ხოლო მელიქიშვილს 6:3 6:1 სძლია კლასიფიკაციის 773-ე ნომერმა, ამერიკელმა ტიია როლიმ.

ბოსტონში თამაშობს ანა ტატიშვილიც, ვინც მაღალი რეიტინგის წყალობით ძირითად ბადეშია და იმედია, წარმატებასაც მიაღწევს და რეიტინგს კიდევ უფრო გაიუმჯობესებს.

კიდევ ერთ ჩვენებურს, კერძოდ კი მარიამ კუპრეიშვილს სირიაში, დამასკოს მაგარსაფარზე მიმდინარე პატარა, 10-ათასიან ტურნირზე უნდა ეთამაშა. კუპრეიშვილი ძირითად ბადეში იყო და პირველ წრეში უკრაინელ პოლინა კონოპს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო კორტზე გასვლა ვერ შეძლო და კონოპმა მეორე წრეს უბრძოლველად უწია.

ექვსი მედალი ჰაიფაღან

ისრაელში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის. ჰაიფაში ქართველმა ფალავნებმა ექვსი მედლის მოპოვება შეძლეს, სამი ოქროსი, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოსი. 55 კგ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი ლაშა შავდათუაშვილმა მოიგო, 66-ში — კობა ქასოევმა, 81-ში კი — შალვა ნინიძემ. ვერცხლის მედალი 60 კგ-ში გოჩა გულბათაშვილმა მიიღო, 73-ში კი ამირან იანვარიშვილმა. ერთადერთი ბრინჯაო ქართველთაგან ზაზა პირველმა (55კგ) ჩამოიტანა.

ზურაბ მიგრიაული


კოკაი

ორი ქართველი ივლისის ბაშოზე

ქართველი სუმოისტები, კოკაიდ წოდებულ ლევან ცაგურია და ტოჩინოშინად წოდებული ლევან გორგაძე, ივლისის ბაშოზე, კვლავაც უმაღლეს მაკუჩი დივიზიონში იქნებიან. საქმე ისაა, რომ მაისის ბაშოზე ქართველი ფალავნები ცუდად გამოვიდნენ. განსაკუთრებით ეს კოკაიზე ითქმის. მრავალ დოჰიოგამოვლილმა ცაგურიამ გასულ ტურნირზე ოდენ სამი გამარჯვება მოიპოვა და ქვედა დივიზიონში გაგდება დაემუქრა. „შავ ზღვას“ ძურიო დივიზიონში გადაბარგება არა, მაგრამ პირველი მაეგაშირობიდან რანგში დაქვეითება კი მოუწია — ივლისის ბაშოზე კოკაი აღმოსავლეთის მე-10 მაეგაშირა იქნება.

მაკუჩი დივიზიონის დებიუტანტ ლევან გორგაძეს მაისის ბაშოზე დადებითი ბალანსის, ანუ კატიკოსის მოპოვებამდე, მხოლოდ ერთი მოგება დააკლდა, მაგრამ შვიდი გამარჯვებაც საკმარისი გამოდგა უმაღლეს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად. ტოჩინოშინი დამდეგ ტურნირზე მე-14 მაეგაშირას სტატუსით იბრძოლებს.

რეიტინგის სათავეში ისევ ძონლოლი იოკოძუნები — ჰაკუხო და ასასიორუ არიან. ოძეკის წოდება კი კოტოოსიუს, კოტომიცუკის, კაიოს და ჩიოტაიკაის აქვთ.

ზურაბ მიგრიაული

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

ფავორიტი კვლავაც კიმია

კიმი რაიკონენი

„სამეფო რბოლების“ ქარავანი მატერიკიდან ნისლიან ალბიონზე გადავიდა, სადაც ამ უქმეებზე უძველესი საპირველფორმულო რბოლა, დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი გაიმართება.

მართალია, რბოლა ბრიტანეთშია და თითქოს უპირატესობა „მაკლარენ-მერსედესს“ უნდა ჰქონდეს, მაგრამ „უილიამ ჰილის“ საბუქმეიკერო კანტორის აზრით, სილვერსტოუნზე გამარჯვების უპირველესი კანდიდატი, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, „ფერარის“ ფინელი პილოტი კიმი რაიკონენია, ვისი შანსებიც 2,1/1-ზე არის შეფასებული.

რაიკონენი ისევ ფავორიტია, თუმც ბუქმეიკერებმა მეორე ნომრად არა „ფერარის“ კიდევ ერთი მძღოლი, ჩემპიონატის ამჟამინდელი ლიდერი, ბრაზილიელი ფელიპე მასა, არამედ „მაკლარენის“ ინგლისელი ლუის ჰემილტონი დააყენეს და ეს ალბათ იმის გათვალისწინებით, რომ რბოლა სილვერსტოუნზეა, ლუისისთვის კარგად ნაცნობ გარემოში.

ჰემილტონის კოეფიცენტი 3,5/1 არის, ხოლო მასასი — 3,75/1. „უილიამ ჰილის“ აზრით, დანარჩენებს ამ სამეულის ბრძოლაში ჩარევა გაუჭირდებათ — „BMW-ზაუბერის“ პოლონელი რობერტ კუბიცასა და ჰემილტონის ფინელი თანაგუნდელის, ჰეიკი კოვალაინენის შანსები 15/1-თან ფასდება, ხოლო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, „რენოს“ ესპანელი პილოტის ფერნანდო ალონსოსი — 34/1-თან, დანარჩენებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

კახა ლომაძე

ჰემილტონისთვის სილვერსტოუნი მთავარია

სილვერსტოუნი „მაკლარენისთვის“, ფაქტობრივად, მშობლიური ტრასაა და ორმაგად მშობლიურია ის „მაკების“ ინგლისელი პილოტის ლუის ჰემილტონისთვის. ზედიზედ ორჯერ — კანადასა და საფრანგეთში — უქულოდ დარჩენის შემდეგ ჰემილტონისგან ქომაგები სილვერსტოუნზე მხოლოდ გამარჯვებას ელიან. ეს კი დამატებით მოტივაციასთან ერთად, დამატებით პასუხისმგებლობასაც ნიშნავს და სწორედ ამ და მომავალ სარბოლო უიქენდთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე ისაუბრა ჰემილტონმა, რომელმაც განაცხადა, რომ მთელი კარიერის „მაკლარენში“ გატარებას გეგმავს.

„1997 წლიდან ამ გუნდში ვარ და „მაკლარენი“ ჩემთვის ოჯახივითაა. მაქვს მშვენიერი კონტრაქტი და დებული იქნებოდა, თუ მას გავაგრძელებდი, თუნდაც კარიერის ბოლომდე. პილოტებზე უზარმაზარი ზეწოლა ხორციელდება და გუნდი ამ ზეწოლის დიდ ნაწილს საკუთარ თავზე იღებს. სეზონის დასაწყისში საკუთარი თავისგან ბევრს ვითხოვდი, მაგრამ ახლა სხვანაირად ვფიქრობ და ჩემს თავს ვეუბნები, რომ სეზონი გრძელია და ენერგია ბოლომდე უნდა მეყოს — განაცხადა ლუისმა და შემდეგ, შეკითხვაზე, ნაიჯელ მენსელი ამბობდა, საკუთარი პუბლიკა წრეზე ერთ წამ უპირატესობას იძლევა და თქვენ რას ფიქრობთ ამაზეო, ასე უპასუხა — არ ვიცი, იძლევა თუ არა ქომაგების მხარდაჭერა წრეზე ერთწამიან უპირატესობას, მაგრამ იმას წყალი არ გაუვა, რომ ასეთ დროს საკუთარ თავში უფრო დარწმუნებული ხარ, უფრო კონკურენტუნარიანი ხდები. შარშანდელი რბოლისას ვიგრძენი ამ მხარდაჭერის ძალა და იმედია, წლეულსაც ასე იქნება. მეორე მხრივ, საკუთარი ქომაგების წინ რომ გამოდიხარ, ზეწოლა და პასუხისმგებლობაც მეტია. ზუსტად არ ვიცი, ეს როგორ ხდება, მაგრამ გსურს, რაც შეიძლება, უკეთესი შედეგი აჩვენო.

ლუის ჰემილტონი

სხვა კუთხით თუ შევხედავთ, სილვერსტოუნი ჩემი უსაყვარლესი ტრასაა. ეს ტრეკი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფია და გზის პირველ ნაწილში დამუხრუჭებაც კი არ არის საჭირო.

მე კარგად ვიცნობ ამ ტრასას და ეს ერთგვარ უპირატესობას მანიჭებს. ყველა პილოტს სურს, მოიგოს საკუთარი ქომაგების თვალწინ, თანაც, სილვერსტოუნი ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ავტოდრომია. პირველი ფორმულის სამყაროში ხშირად ამბობენ, რომ არის ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი რბოლა — სილვერსტოუნი, მონაკო, მონცა და სპა. მე ცოტა სხვანაირად ვფიქრობ. მე ყოველთვის მინდა, რომ მოვიგო სეზონის პირველი რბოლა, შემდეგ მონაკო და, რა თქმა უნდა, სილვერსტოუნი. პირველი რბოლა და მონაკოს დიდი პრიზი წლეულს უკვე მოვიგე და ახლა ყველაფერს გავიღებ, რათა მშობლიური დიდი პრიზიც მე დამრჩეს“.

კახა ლომაძე

ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი

ვერონიკამ საპეკინოდ 200 შეუკვეთა

2000 წლის სინდეის ოლიმპიადასა და 2007 წლის პარიზის მსოფლიო პირველობაზე ქალთა 100 მეტრი სირბილის მომგები ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი ფერფლიდან ფენიქსივით აღდგა. იამაიკის ჩემპიონატში მან რაღაც სასწაულით ვერ შეძლო 100 მეტრის მოგება. ამას ვინ ჩივის, საერთოდ სამეულს მიღმა დარჩა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პეკინის ოლიმპიადაზე 100 მეტრს ვეღარ ირბენს.

მაგრამ ვერონიკამ მეორე დღეს ნაწილობრივ მაინც გამოიკეთა განწყობა, როცა იამაიკის ჩემპიონი გახდა 200 მეტრზე სირბილში და პეკინური სარბენი ბილიკი ამ დისციპლინაში მაინც დაიბევა.

ქალთა 200 მეტრში ერთმანეთს პირველობასა და საპეკინო საგზურს ასმეტროსანთა ოთხეული ეცილებოდა. საბოლოოდ კემპბელ-ბრაუნმა სტადიონის ნახევარი წრის შესატყვისი დისტანცია 21,94 წამში დაფარა და ფინიშზე 0,05 წამით შეასწრო წინა დღით 100 მეტრის მომგებ კერონ სტიუარტს. საბოლოოდ 200 მეტრზე ადგილები ასე განაწილდა: ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი (21,94), კერონ სტიუარტი (21,99), შერონ სიმპსონი (22,11), შელი-ენ ფრეზერი (22,15).

შეგახსენებთ, რომ ამ კვარტეტმავე წინა დღით 100 მეტრის პირველი ოთხი ადგილი შემდეგი თანმიმდევრობით გაიყო — კერონ სტიუარტი (10,80), შერონ სიმპსონი (10,85), შელი-ენ ფრეზერი (10,87), ვერონიკა კემპბელ-ბრაუნი (10,88). იამაიკელი სპრინტერები ოლიმპიადაზე 2+1 პრინციპით გავიდნენ, ორ-ორმა მოწინავემ პირდაპირ მიიღო პეკინის საგზური, მესამე ადგილსნები კი ოლიმპიადისთვის საერთაშორისო ტურნირებზე განაგრძობენ ბრძოლას.

„სწორედ რომ დროულად ვაჩვენე სეზონის საუკეთესო შედეგი და ჩამოვცდი 22წამს — 200 მეტრის მოგების შემდეგ შვებით სუნთქავდა კემპბელი — ვერავინ იტყვის ჩემზე, რომ ცუდ ფორმაში ვარ და წლეულს 100 მეტრზეც კარგი შედეგები მაქვს. გუშინ ვერ მანუგეშა იმან, რომ 10,88 წამით მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მეოთხეადგილოსანი გავხდი. იმაზე ფიქრი მტანჯავდა, რომ ოლიმპიადაზე ჩემს საყვარელ დისციპლინაში შორიდან მაყურებელი ვიქნებოდი, ახლა კი შემიძლია 200 მეტრს მივხედო“.

იამაიკის ჩემპიონატის მესამე და უკანასკნელ დღეს კიდევ ერთი ღირსაღსანიშნი რამ მოხდა. 100 მეტრის მომგებმა უსაინ ბოლტმა 200 მეტრიც იოლად მოიგო და სავარაუდოდ პეკინში ორივე დისციპლინიდან ოქროს ამოღებას ეცდება, მით უფრო, რომ ზღაპრულ ფორმაშია. ბოლტს კიდევ უფრო მეტად იოლად მოუვიდა 200 მეტრში ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, რადგან იქ მას აღარ ეცილებოდა ასაფა პაუელი, თანაც ბოლტი ხომ ნატურალური 200-მეტრიანი გახლავთ და არავის გაკვირვებია, ძალდაუტანებლად რომ ჩამოცდა 20-წამიან ბარიერს — მან 19,97 წამში გადაკვეთა ფინიში და უახლოეს მდევარს 0,20 წამით მიასწრო.

ვანო კოგიაშვილი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ჯობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბულედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიალაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00